




# შირაკი

## SHIRAKI

გამოცემის 1937 წლიდან  
დაედოფლისწყაროს პენიციპალიტეტის გაზეთი

№10 (9.969)  
3-10 აპრილი 2021 წელი  
ფასი: 60 თეთრი  
ყოველკვირეული გამოცემა

## როცა სტუმარი ოკუპანტია...



მდინარე ლიხვის ხეობა დაქალაქილია მავთულხლართებით. სამხრეთ-დასავლეთ სოფლებში ნასახლარების კვალიც კი აღარ იკითხება. მავთულხლართების აქეთ ღებანან ქართული ჭირისუფლები, იქეთ - დამთავრებული მუშა მის ცხადართან მარტო და ცხაურის მიღმა იღვას სამიძვრებს. მავთულხლართები ყვავილებითაა მოსაფარები. ეს ერთადერთია, რაც არ იკრძალება. ლითონის ღობის გადაღმა ოკუპანტის მიერ დაწესებული საზღვარია. მის დაშლამდე ცინე და წამება ემუქრება. საპროტესტო მუხტისა და სურვილის მიუხედავად, მის იქეთ გადასვლას არაპინ ცდილობს.

\*\*\*

2021 წლის 31 მარტი. საქართველოს პირველი პრეზიდენტის დაბადების დღე და ქვეყნის რეფერენდუმის 30 წლისთავი. საღამოს თბილისის სპეციალური რეისით უცხოელთა დელეგაცია სტუმრობს. ასე, 50 კაცი. რუსი, პუტინის კარის ჟურნალისტები არიან. ქართულ გემრიელ კერძებზე შეყვარებულებმა აქ უნდა აღნიშნონ თავიანთი კოლეგის დაბადების დღე.

თბილისში კომენდანტის საათია. 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ ეს პირველი შემთხვევაა, როცა შეზღუდვები პანდემიამ დაანესა და არა რუსეთმა. თავისუფლების სურვილით ანთებული ახალგაზრდების შეჩერება მაშინ გენერალმა როდიონოვმა დამცინავი ტონითა და აქციის მონაწილეების დარბევით მოახერხა. 21 ადამიანის სიკვდილმა და უამრავის ცემამ თუ მონამლევა ვერ ჩაახშო დამოუკიდებლობის სურვილი. მას შემდეგ რუსეთი ყველანაირი ხერხით ცდილობს ქართველი ერის დაჩოქებას, მის ჩანისვლას და დამცირებას.

რუსების ვიზიტი და საქართველოს დედაქალაქში დაბადების დღის აღნიშვნაც ჩვენი ერის დაცინვის მცდელობა იყო. რამდენიმე დღის წინ ქართველმა ერმა დათა ვანიშვილთან გამომშვიდობება ხეირიანად ვერ შეძლო ოკუპანტების მიერ დანესებული საზღვრის გამო, რუსებმა კი ქართველებისთვის ამალღებულ დღეს ზეიმი და კომენდანტის საათის დარღვევა ერთდროულად მოინდომეს!

ელარჯი კი მიირთვეს, მაგრამ შორს მიმავალი გეგმები მაინც ჩაეფუშათ-სამდლიანი დაბადების დღე და საქართველოს ბუნებით ტკობა აღარ დასცალდათ. გამომშვიდობება და გაცილებაც არცთუ შთამბეჭდავი გახლდათ - პოლიციის მიერ მოწყობილი ვიწრო კორდონი პატრიოტი ქართველებისგან დასაცავად და კვერცხები- ყვავილების ნაცვლად!

სტუმარ-მასპინძლობა დაგვიწუნეს. ქართველობაც დაგვიწუნეს და ჩვენი კარგი ტრადიციები გაგვიხსენეს.

\*\*\*

საქართველოში სტუმარ-მასპინძლობის წესი უძველესია. თავის დროზე, ვაჟა-ფშაველამ ამ ტრადიციას პოემატად უძღვნა და სისხლის აღების მავნე წესს დაუპირისპირა. „ღმეს სტუმარია ის ჩვენი, თუნდა ზღვა ემართოს სისხლისა“-ამბობდა ვაჟა ჯოყოლას პირით ყველაზე ახლობელი ადამიანის მკვლეელი სტუმრის დასაცავად და გადასარჩენად. თუმცა, 31 მარტის შემთხვევა სხვა რეალობაა... ამ დღეებში საქართველომ ამ ტრადიციას უღალატა. აღარც საუკუნეებით

ნალოლიავეები წესების დაცვა გაახსენდა და აღარც ეს ცნობილი სიტყვები „სტუმარ-მასპინძლიდან“. როცა სტუმარი ოკუპანტია, ძალიან რთულია, იყო კარგი მასპინძელი. ეს ის შემთხვევაა, როცა სხვისი ამორალური ქცევა წონასწორობასაც გაკარგვინებს და „ქართველობასაც“...

პუტინის კარის ჟურნალისტმა, რომლისთვისაც ზნეობა მხოლოდ პირობითი ცნებაა, ამ გაგანია პანდემიის ჟამს გადაწყვიტა, საკუთარი დაბადების დღე საქართველოში აღენიშნა. მერე რა, თუ მისი საჯარო განცხადება, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო აღარასოდეს იქნება საქართველოს ნაწილი, კვლავ ახსოვთ ამ ქვეყანაში? მერე რა, თუ სწორედ საქართველოს ტერიტორიას შაგრენის ტყავით აპატარავებენ მცოცავი ოკუპაციის წყალობით? მერე რა, თუ ახალი წლის დღეებს ჩვენი მოქალაქეების გატაცებით, მათი წამებითა თუ სიკვდილით გვილოცვენ, მხოლოდ იმის გამო, რომ მათ არ სურთ სამშობლოს ოკუპაციის აღიარება და დროის ნაბილწვა? „-ეს ხომ არ იძლევა იმის საფუძველს, რომ საქართველოში ჩამოსვლა აკრძალვას? ხომ უნდათ ქართველებს ტურიზმის განვითარება-რუსების გარეშე კი ეს წარმოუდგენელია!“-კვლავ ჯიუტად აგრძელებენ ჩვეულ რიტორიკას.

რუსებიც და მათი ახლანდელი ლიდერიც ირწმუნებიან, რომ საქართველო ძალიან უყვართ. მეტიც, ამბობენ, რომ ქართველი ხალხი გზასა აცდენილი და მათ სწორი არჩევანის გაკეთებაში ეხმარებიან. „დიდი სიყვარულითა და დიდი იდეებით შთაგონებულნი“ გადაწყვეტილებებს ჩვენს მაგივრად იღებენ. ოკუპაციის მიზეზიც მარტივია- ამ დიდი სიყვარულის „ბრალია“, რომ ჩვენი გაშვება და სიყვარულის გაზიარება არ სურთ ევროპასთან - ვერაფერს ვიტყვით, ლოგიკაც რკინისებურია, ისევე, როგორც რუსული ხელი!

მოძალადეს ღირსებაზე ვერასოდეს დაელაპარაკები. მნიშვნელობა არ აქვს, ადამიანია ის თუ ქვეყანა. ღირსეული ადამიანი სხვაშიც ეძებს მსგავს თვისებას და ცდილობს, პატივი სცეს მის ტკივილსა თუ ტრაგედიას. მორალისგან დაცლილი კი ამას ვერასოდეს გაიგებს, პატივისცემაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ელემენტალური ზნეობა რომ მაინც ჰქონოდათ პოზნერსა და მის ამფსონ ჟურნალისტებს, რომლებსაც ჩვენი ქვეყანა მხოლოდ გემრიელ სამზარეულოდ მიაჩნიათ და დაბადების დღეების თბილისურ რესტორნებში ზარ-ზეიმით აღნიშვნას ტრადიციად ამკვიდრებენ, ასეთ კრიტიკულ მომენტში, როცა ქვეყანაში ცალკე პოლიტიკური ვნებათაღელვაა და ცალკე პანდემიიდან გამომდინარე საგანგებო მდგომარეობა, ჩამოსვლისგან თავს უსათუოდ შეიკავებდნენ.


„საპატიო სტუმრებმა“ კი ცინიკურად ფეხქვეშ გათელეს კომენდანტის საათიც და ერის ღირსებაც. პასუხიც ადექვატური მიიღეს.

როცა სტუმარი ოკუპანტია, მის პატივისცემაზე საუბარიც კი ძნელია.

„გიყვარდეს მტარი შენი“- ეს ბიბლიური სიბრძნეა, მაგრამ არ ვრცელდება ქვეყნის მტარზე. მიწიერ სამყაროში კი სამშობლოს მტრის შეყვარება ქვეყნის დაღუპვის ტოლფასია.

ინგა შიოლაშვილი

### გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს



სოფელ არბოშიკში ცენტრალური გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. ინფრასტრუქტურული პროექტი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მოადგილესთან, დავით ფხოველიშვილთან ერთად დაათვალიერა.

პროექტის ფარგლებში უკვე დაიგო ასფალტის საფარის პირველი ფენა და მოენყო ტროტუარები.

არბოშიკის ცენტრალური გზის რეაბილიტაცია მომავალ თვეში დასრულდება. მისი დროებითი გაჩერება უამინდობამ და შექმნილმა კოვიდ სიტუაციამ გამოიწვია.

\*\*\*

ქუმბათი-ხირსა-ენამთა-სამთაწყარო-საბათლოს დამაკავშირებელი გზის 13 კილომეტრიანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურ ფაზაშია. სამუშაოებს შპს „სერპანტინი“ ახორციელებს. პროექტის ლირებულემა 5,630,502 ლარია. სოფელ ფიროსმანის რწმუნებულის ვალიკო აბაშიძის განცხადებით, გზის მშენებლობა ერთ თვეში დასრულდება.



### სოფელ გამარჯვებაში ორი ახალი ჭაბურღილისა და სადაწნო ქსელის მოწყობის სამუშაოები დასრულდა



სოფელ გამარჯვებაში ორი ახალი ჭაბურღილისა და სადაწნო ქსელის მოწყობის სამუშაოები დასრულდა.

ინფრასტრუქტურული პროექტი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მოადგილესთან, დავით ფხოველიშვილთან და გამარჯვებაში მერის წარმომადგენელთან, ზვიად ზვიადაურთან ერთად დაათვალიერა.

პროექტის ლირებულემა 148 553 ლარი შეადგინა და ის გამარჯვებაში სასმელი წყლის დებეტს მნიშვნელოვნად გაზარდის.

უახლოეს პერიოდში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მოსახლეობის წყალმომარაგების

გაუმჯობესების მიზნით არაერთი გრანდიოზული პროექტი განხორციელდება, რაზეც 56 000 000 ლარზე მეტი დაიხარჯება.

მიმდინარე სამუშაოების შესახებ ინფორმაციას ეტაპობრივად მოგაწვდით.

### პრემიერ-მინისტრმა ფინანსთა და იუსტიციის ახალი მინისტრები დანიშნა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა 1 აპრილს ლაშა ხუციშვილი ფინანსთა მინისტრად დანიშნა, რომელიც ამ პოსტზე ივანე მაჭავარიანს შეცვლის. ამ უკანასკნელმა თანამდებობა გუშინ დატოვა. იუსტიციის მინისტრად რატი ბრეგაძე დანიშნა, რომელიც გოჩა ლორთქიფანიძეს ჩაანაცვლებს, მას შემდეგ, რაც იგი ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC) მოსამართლე გახდა.

ლაშა ხუციშვილი, რომელსაც 2014 წლიდან ფინანსთა მინისტრის მოადგილის თანამდებობა ეკავა, ას\|\|ევე ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) და დიდი ოცეულის (G 20) მიერ ინიცირებულ დასაბეგრ ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის (BEPS) ინკლუზიური პლატფორმის ხელმძღვანელი ჯგუფის (Steering group) წევრია. 2013-2014 წლებში მას შემოსავლების სამსახურის უფროსის თანამდებობა ეკავა. უფრო ადრე კი — 2008-2013 წლებში, საერთაშორისო კომპანია Ernst & Young თბილისის ოფისში მუშაობდა.

რატი ბრეგაძე, რომელიც ამჟამად თავდაცვის მინისტრის მოადგილეა, კავკასიის უნივერსიტეტის საჯარო სამართლის პროფესორია. 2017-2019 წლებში, იგი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი იყო. 2012-2015 წლებში, მას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობა ეკავა.



## 2 აპრილი - აუტიზმის ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღეა

აუტიზმი მსოფლიოში ყოველ 20 წუთში ერთ ადამიანს უღვივდება და ის უკვე ყოველი 55-დან 1 აქვს- ის საბანგაშო სტატისტიკაა.

2007 წლის 18 დეკემბერს მიღებული A/RES/62/139 რეზოლუციით, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2 აპრილი აუტიზმის ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღედ გამოაცხადა, რასაც ერთხმად შეუერთდა მსოფლიოს ყველა ქვეყანა, მათ შორის საქართველო. აღნიშნული გადაწყვეტილება განპირობებული იყო აუტიზმის შემთხვევათა მაღალი სიხშირით, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით ათობით მილიონ შემთხვევას უტოლდება, რის გამოც ეს პრობლემა შეფასდა მსოფლიოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გლობალურ კრიზისად და მნიშვნელოვან გამოწვევად.

აუტიზმი მიეკუთვნება ნეიროგანვითარებითი დაავადებების ჯგუფს და ხასიათდება სოციალური ურთიერთობების, კომუნიკაციისა და ქცევის პრობლემებით. აუტიზმი უფრო ხშირია, ვიდრე ბავშვთა ასაკში გამოვლენილი ისეთი ცნობილი დაავადებები, როგორც არის ეპილეფსია, შაქრიანი დიაბეტი და სიმსივნე. აუტიზმი თანაბრად გავრცელებულია ყველა

რასის, ეროვნების, რელიგიური მრწამსისა და სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე ადამიანებში. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ცნობით, 2018 წელს განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა აუტიზმის მქონე ქალებისა და გოგონების უფლებების დაცვაზე, რომლებიც მრავალ წინააღმდეგობას აწყდებიან მათ შორის, განათლებასა და დასაქმებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის, რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებების რეალიზებისა და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ხელშეწყობილ უნდა იქნას აუტიზმის მქონე ყველა ადამიანის სრული მონაწილეობა საზოგადოებაში, რათა არავინ დარჩეს ყურადღების მიღმა.

საქართველოში აუტიზტური სპექტრის მქონე პირების უფლებების დაცვის კუთხით ჯერ კიდევ რჩება პრობლემები. კვლავ გამოწვევას წარმოადგენს აუტიზმის მქონე ბავშვების ჯანმრთელობის დაცვის, მათთვის აუცილებელი პროგრამებისა და მომსახურებების ნაკლებობა, აბილიტაცია/რეაბილიტაციის სერვისების შეზღუდული რაოდენობა, ტერიტორიული ხელმისაწვდომობა, განეული მომსახურების ხარისხი, პერსონალის სიმწირე და კვალიფიკაცია.

აუტიზმის ცნობადობის ამაღლების დღეს სსიპ ქ.დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლის მე-6 კლასში დამრიგებლის და სპეციალური მასწავლებლის ირინა ფირსმანაშვილის ორგანიზებით ჩატარდა კლასის საათი თემაზე: „გაზარდე აუტიზმის ცნობადობა“. **„ცნობადობის ამაღლებასთან ერთად ჩვენი მიზანია ხელი შევუწყოთ აუტიზტური სპექტრის აშლილობის მქონე ადამიანების ფუნდამენტური უფლებების დაცვასა და რეალიზებას.“** განაცხადა ირინა ფიროსმანაშვილმა.

ასევე დაფუძვნილია ჩვენი გაზეთის აქტიურ რესპონდენტს, მაბა შარმაზანაშვილს, რომელიც წლებია პატარა მათესთან ერთად აუტიზტური სპექტრის გამოწვევებს უმკლავდება. შედეგი საგრძნობლად აქვთ, თუმცა, საბოლოო გამარჯვებამდე კიდევ გრძელი გზა გასასვლელი.

მაბა შარმაზანაშვილი, მათეს დედა: ტერმინების „შეზღუდული შესაძლებლობა“ და „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება“ გათავისების ურთულესი გზის მცირე მონაკვეთი უკვე გავიარეთ. მოსაყოლიც დაგვიგროვდა... დიაგნოზი „ბავშვთა აუტიზმი“ 7 წლის წინ მოვისმინე. ახლა ჩემი ბიჭი 10 წლისაა... პირველად როდესაც მოვისმინე, მხოლოდ ის დავიმახსოვრე, რომ ჩემი შვილი იყო „სხვა პირის დახმარების მუდმივი საჭიროების მქონე“... და მხოლოდ ის გავიარე, რომ „გვჭირდა“ რაღაც, რაც ბევრ მუშაობას და თანადგომას მოითხოვდა. როგორც იტყვიან, ტყვილი თავიდან გაუსაძლისი იყო, მეგონა ვერაფერს შევცვლიდი, მაგრამ, ახლა უკვე ვიცი, რომ ძალიან ბევრი რამის შეცვლა შეეძლებოდა. მართალია, საბოლოო მიზანმდე გზა შორია, მაგრამ მიღწევადი. მათე უკვე თავისუფლად გვიხსნის მისი სურვილების შესახებ, სკოლაში აქტიურად დავედივართ, მეოთხე კლასშია და 4 გაკვეთილს ესწრება ყოველდღე. სკოლა მისთვის სპეციალური პროგრამით მუშაობს, რამაც დიდი შედეგი მოგვცა, ასევე დავდივართ სარეაბილიტაციო ცენტრ „მზემი“ ექიმ ია ფიროსმანაშვილთან, სპეციალური სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. უნდა აღვნიშნო, რომ თითოეული სპეციალური პროგრამა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ბავშვებისთვისაც და მშობლებისთვისაც. იმედი მაქვს, პან-



დემიაც მალე დასრულდება და სახელმწიფოს მომავალში კიდევ უფრო მეტი სპეციალური პროგრამების შემუშავება შეეძლება აუტიზტური სპექტრის მქონე ბავშვებისთვის, რათა მათ მომავალში შეძლონ დამოუკიდებლად ცხოვრება. ეს ჩემი, როგორც მშობლის ოცნებაა...“

დასასრულს, გვიჩვენა სასიამოვნო ინფორმაცია მისწავლეთ ჩვენს გიტისხველს. სულ ახლახანს, პირველად საპარტიველოში, გამოიცა ქართული-ნოვანი სახელმძღვანელო აუტიზტური სპექტრის მქონე ბავშვებისა და მათი მშობლებისათვის - მერი ლინგ ბარბარას „როგორ ვასწავლოთ აუტიზმის და მსგავსი დარღვევების მქონე ბავშვებს“.

იგი პირველად 2007 წელს გამოიცა ბრიტანეთში ჰეიმთა ოჯახის მიერ, რომელსაც ჰყავდათ აუტიზტი ბავშვი. ნივინი მშობლებს ასევე ეხმარება დიაგნოზის მოძიებაში. ტირაჟი 1000 ცალია, ვრცელდება უფასოდ. რეპრონების გიგანოთიკაზე გადამცემით 5-5 ეგზემპლარი.

მომზადდა ელზა ხარაშვილმა



# ესპანური ემიგრაციიდან- კაკლის ბაღებამდე



20 წლიანი ემიგრაციის შემდეგ სა-  
ქართველოში დაბრუნდა და მთელი  
დღანაობი- მილიონ ნახევარი ლარი  
სოფლის მეურნეობაში დააბანდა. ესა-  
ნეთიდან სამოგობლოში დაბრუნდა  
გურამ ნაკაშიძემ სამთავროში მინა  
პიტიჩინა და 82 ჰექტარზე კაკლის 18  
765 ნერტი დაარბო. თითოეულ მათგანს  
უპლის, ბავშვებით ეფარება. საქმის  
პროფესიონალურად მიუღბა და ბაღის  
გაშენებრიდან მისამდე წაღს პირველი პო-  
საკლის რაქონიზაციიდან შემოსავალიც  
მიიღო.

ლაგი, როგორც CTC- ის პარტნიორი  
ორგანიზაცია, ახორციელებს როექტს  
„ახალგაზრდობის ჩართულობა და სე-  
ქტორთაშორისი თანამშრომლობა მდგრადი  
ეკონომიკური განვითარებისთვის“.  
ბატონი გურამი ლაგის ბენეფიციარია (ჰე-  
ქსეფერის პროექტი-სამოქალაქო ჩართუ-

ოჯახების შექმნის შემდეგ მათმა შვილე-  
ბმა ესპანელ ბავშვებთან ერთად დაიწყეს  
სრულფასოვანი ცხოვრება. ბაღშიც იქ ია-  
რეს და სკოლაშიც. ამის გამო იყო, რომ  
ქართულად საუბარი უჭირდათ.

### როდის გადაწყვიტეთ საქართველოში დაბრუნება?

- ჩვენ ხშირად ჩამოვდიოდით სა-  
ქართველოში, განსაკუთრებით შავი ზღ-  
ვისპირეთში. მოგეხსენებათ, ჩვენ აჭარი-  
დან ვართ. ერთ-ერთი ასეთი ჩამოსვლის  
დროს ჩემი ერთი შვილიშვილი ოთახში ტი-  
რილით შემოვიდა, დაჯდა ერთ ადგილას  
და გარეთ, თანატოლებთან გასვლაზე  
უარს განაცხადა. ჩვენ მიზეზი ვკითხეთ.  
აღმოჩნდა, რომ მას არ ესმოდა ქართული  
ენა, უჭირდა ქართველ ბავშვებთან ურ-  
თიერთობა. მაშინ მივიღეთ გადაწყვეტი-  
ლება, რომ საბოლოოდ დაგბრუნებულიყა-  
ვით საქართველოში.



ლობა ეკონომიკური განვითარებისთვის).  
გაზეთი „შირაქი“, მას ლაგის წარმო-  
მადგენლებთან, ერთად სოფელ სამთავრო-  
როში ესტუმრა.

საქართველოს უკიდურეს აღმო-  
სავლეთში მდებარე სოფელი, სადაც სა-  
ქართველო-აზერბაიჯანის საზღვარია,  
ცხელი კლიმატითა და ალაზნისპირა  
ჭალის ტყეებითაა განთქმული. აქ ვენახე-  
ბია გაშენებული. მოსახლეობის შემო-  
სავლის ძირითად წყაროსაც ვენახი წარ-  
მოადგენს. კლიმატის გათვალისწინებით,  
ყოველთვის მიიჩნეოდა, რომ ეს ადგილი  
მხოლოდ ვენახისთვის იყო ზედ გამოჭრი-  
ლი და სხვა კულტურა აქ ვერ იგვარებდა.  
გურამმა ეს სტერეოტიპი დაამსხვრია.

-2000 წლიდან ესპანეთში ვცხოვრობ.  
ისე მოხდა, რომ სასწავლებლად წასულ  
ბავშვებს გაყვევი მეთვალყურედ. მერე  
მომცეს ვიზა, რომელიც ცხოვრებისა და  
მუშაობის უფლებას მძლევდა. მოგვიანე-  
ბით, მთელი ოჯახი ესპანეთში გადავბარგ-  
დით. ჩემმა შვილებმა იქ ისწავლეს, ხოლო

### რამ განაპირობა, რომ მაინცდამაინც სამთავროში გადაწყვიტეთ მინის ყიდვა და კაკლის ბაღის გაშენება? ეს პოპულარუ- ლი კულტურა არაა დღეს...

-ესპანეთში ცხოვრებისას, ხშირად  
მივდიოდი სტუმრად ჩემს მეგობართან,  
რომელსაც კაკლის პლანტაცია ჰქონდა.  
ძალიან მომწონდა. სერიოზულად დავი-  
ტერესდი. როცა საქართველოში ჩამო-  
ვედი, დანაზოგი გვექონდა, მილიონ ნახე-  
ვარი ლარი და გადავწყვიტე, ოჯახური  
ბიზნესი დაგვეწყო. ვფიქრობდი, რომ  
მხოლოდ 30 ჰექტარ მიწაზე დავიწყებდი  
ამ საქმეს. მერე ვილაცამ მიწა, აქ, დე-  
დოფლისწყაროში სოფლის მეურნეობის  
საკონსულტაციო სამსახურია, იმათ მია-  
კითხე და დაგაკვალაინებნო. მართლაც,  
დამაკვალაინეს. იაგო ყოჩიაშვილმა სხვა-  
დასხვა პროექტში მონაწილეობა შემომთა-  
ვაზა, მათ შორის სახელმწიფო პროგრა-  
მაში „დანერგე მომავალი“. ახლა FAO-ს  
პროექტის ფარგლებში მიმდინარე პრო-  
გრამას ვახორციელებ. ეს პროექტები, მათ

შორის ევროკავშირის პროგრამა, ძალიან  
დამეხმარა. სწორედ მათი დამხმარებაა,  
რომ 30 ჰექტარის ნაცვლად 82 ჰექტარზე  
გავაშენე კაკლის ბაღი. ამ პროგრამების  
ფარგლებში მილიონ ლარამდე დაფინანსე-  
ბა მივიღე, რაც დამეხმარა წყალსაქანი და  
წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობა-  
ში, ასევე ბევრი იმ დანადგარის შექმნაში,  
რომელიც ამ ბაღისთვის აუცილებლობას  
წარმოადგენდა.

### გასაგებია, რომ თქვენ ესპანეთში ყო- ფინასს დაინტერესდით მეკაკლეობით, მა- გრამ სამთავროში განსხვავებული ჰავა. რა გარანტია გქონდათ, რომ ბიზნესი არ ჩა- ვარდებოდა?

-სანამ ამ ბიზნესს წამოვიწყებდი, კონ-  
სულტაცია გავიარე ესპანელ სპეციალის-  
ტებთან. მათ ერთხმად მირჩიეს კაკლის  
გაშენება. ჯიშებიც ერთად შევარჩიეთ და  
შემდეგ ნებისმიერ ოპერაციას მხოლოდ  
მათი რჩევის მიხედვით ვახორციელებდი.  
წელს ისინი აქ იმყოფებოდნენ და გარან-

დუქტიულია, მაგრამ ნაკლებპროდუ-  
ქტიულია ჩანდღერთან შედარებით. მათი  
გვიანი ყვავილობა კი ჩანდღერის ჯიშის  
კაკალს ეხმარება მოსავლიანობის გაზრ-  
დაში.

გურამ ნაკაშიძე ამბობს, რომ ახლა  
მისი ამოცანაა, ისეთი დანადგარების შე-  
ქმნა, რომელიც კაკლის ნაყოფის გასუფ-  
თავებას უზრუნველყოფს ფოთლებისგან  
და წენვოსგან, ასევე დააკალიბრებს მას  
ზომების მიხედვით.

დღეს, საქართველოში, მეკაკლეობა  
პრიორიტეტი არ არის, მეთხილეობისგან  
განსხვავებით. ამიტომ, არც საგადასახა-  
დო კოდექსშია შეტანილი მუხლი, რომე-  
ლიც ნიგოზის წარმოებას წახალისებს.  
ნიგოზის წარმოება მეორეული პროდუ-  
ქციის წარმოებად ითვლება და იბეგრება.  
ეს კი მწარმოებლის ხარჯებს ერთიორად  
ზრდის. ამიტომ გურამი ამბობს, რომ ის  
ნიგოზის წარმოებას არ დაიწყებს მანამდე,  
სანამ სახელმწიფო მეკაკლეობის განვითა-



ტია მომცეს, რომ მომავალ წელს ჩემი მო-  
სავალი საგრძობლად გაიზრდება.

მოსავალი ორწლიანმა ბაღმა მესა-  
მე წელს უკვე მომცა 3 ტონა ნახევარი,  
4-წლიანმა ბაღმა- 15-16 ტონა. ესპანელი  
აგრონომები მარწმუნებენ, რომ 100 ტონა-  
ზე მეტ მოსავალს მივიღებ. მე ასეთი ოპ-  
ტიმისტური პროგნოზი არ მაქვს, მაგრამ  
ენახით, რა იქნება.

### რამდენი ჯიშის კაკალია გაშენებული?

-ბაღში ოთხი ჯიშის კაკალია. ჩანდღე-  
რის ჯიში ყველაზე უხვმოსავლიანია და ის  
უმრავლესობაშია. მაგრამ მის გარდა მა-  
ქვს მტვერავი ჯიშებიც: ფრანკეტე, ფერ-  
მეტე, ივარტო, ფერნოი. ისინი მტვერავს  
საადრეო ჯიშებს, თვითონ კი ზოგიერთი  
საგვიანოა. ჯიშთა ასეთი მონაცვლეობა  
აიცილებელია, რადგან წარმოუდგენელია,  
82 ჰექტარზე გაშენებული კაკლის ბაღის  
ერთდროულად მოვლა და მოსავლის და-  
ბინავება.

ბაღში გაშენებული ყველა ჯიში პრო-

რებას პრიორიტეტების ნუსხაში არ შეი-  
ტანს.

კაკლის ბაღის განვითარებას კი და-  
ლისხმევას არ მოაკლებს.

წარმატებას ვუსურვებთ მას და მის  
ოჯახს ამ ბიზნესის განვითარებაში. მათი  
წყალობით, სოფლის მოსახლეობას სამუ-  
შაო ადგილები გაუჩნდა. როგორც ჩვენთან  
საუბარში აღნიშნეს, სეზონურად ისინი  
ბაღში 40-დან 60 ადამიანამდე ასაქმებენ.

როგორც მერიის მთავარმა სპეცია-  
ლისტმა და დედოფლისწყაროს ლაგის  
ხელმძღვანელმა ანა ბენაშვილმა აღნიშნა,  
მნიშვნელოვანია, რომ კაკლის კულტურის  
აღიარება სწორედ დედოფლისწყაროდან  
დაიწყო და ამ პროექტის გასაცნობად,  
CTC-ის პროექტით, მოსწავლე-ახალგაზრ-  
დობის ჯგუფები მიაგლინოს სასწავლო  
პრაქტიკაზე. რაზეც გურამ ნაკაშიძემ  
მხარდაჭერა და მზაობა გამოხატა.

# ექიმის საერთაშორისო დღე



ყოველწლიურად, 30 მარტს, სხვადასხვა ქვეყანაში აღინიშნება პედიის სამართაპირის დღე, რომლის დაარსების ინიციატორები იყვნენ ჯანდაცვის მსოფლიოს და სამართაპირის სამედიცინო კონფერენციის ორგანიზატორები.

სწორედ ამ დამოუკიდებელი, არასამთავრობო ორგანიზაციის ათასამდე ექიმი, ყოველწლიურად, სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობას (მათ შორის ცხელ წერტილებში) უწევს სამედიცინო დახმარებას. ეს არის იმ ადამიანების დღესასწაული, ვინც ყველაზე პუმანური პროფესია აირჩია. მედიცინის მუშაკები ყოველდღიურად ადამიანის სიცოცხლის სადარაჯოზე დგანან და მკურნალობენ სხვადასხვა დაავადებას. მნიშვნელობა არ აქვს, ექიმი კაბინეტში მუშაობს, თუ საველე პირობებში, ეს მის დამსახურებას არ აკნინებს.

ეს დღე არის მსოფლიოს ექიმების სოლიდარობის დღე. მიუხედავად ეროვნებისა, ასაკისა, მოქალაქეობისა და რელიგიური კუთვნილებისა, ყველანი ერთიანდებიან ადამიანის სიცოცხლის გადარჩენად. მათ კიდევ ერთი, ლათინური ენა აერთიანებთ. ექიმის პროფესია ერთ-ერთი ყველაზე ძველია პლანეტაზე. ის ყოველთვის დაფასებული და პატივსაცემი პროფესია იყო. ექიმობა რთული და საპასუხისმგებლო სამუშაოა, რადგანაც მის ხელში ყველაზე ძვირფასი - ადამიანის სიცოცხლეა. მაგრამ ამ პროფესიის მიღმა დგანან ჩვეულებრივი ადამიანები, რომლებსაც აქვთ პროფესიისგან განსხვავებული მისწრაფებები. სწორედ ამიტომ, გაზეთი „შირაჰი“ ჩვენს მუნიციპალიტეტში მოღვაწე ყველათვის საყვარელ და ნაცნობ ექიმებს ესტუმრა.

**მანანა (ზვანაძე) შილაძე:** „ჩემი წინაპრები ნამდვილად არ მოღვაწეობდნენ სამედიცინო სფეროში. საბჭოთა პერიოდში როგორც იყო მიღებული, მოსწავლე, რომელიც კარგად სწავლობდა, ირჩევდა ექიმის პროფესიას. რადგან ექიმის პროფესია მოიცავდა და მოიცავს ადამიანების სიყვარულს, თანაგრძობას, დახმარებას - ასე გავხვდი ექიმი. თუმცა, შემდეგ რაც უფრო სიღრმისეულად გავიცანი ამ პროფესიას და ყველა წერილობითი თუ ნიუანსი გახდა ნათელი, ჩემთვის ცხადი გახდა, რომ ეს არის ძალიან პუმანური, მნიშვნელოვანი და საუკეთესო პროფესია. რაც შეეხება ჩემს ვინო სპეციალიზაციას, გამოვედი კერძო პროფესიის ექიმი-თერაპევტი. შემდეგ გამოჩნდა ნევროლოგის შტატი და გაცივრე კვლითი კურსები. სიმართლე რომ ვთქვა, თავიდან ნევროლოგობაზე არც მიფიქრია, ძალიან რთულად მეჩვენებოდა და დღემდე აღვნიშნავ, რომ ეს არის მედიცინის ერთ-ერთი ურთულესი დარგი. ჩემი ამ პროფესიამდე მის-

ვლა განაპირობა უბრალოდ შტატის არსებობამ, შემდეგ როდესაც სიღრმისეულად გავიცანი, ნამდვილად დავინახე ჩემი თავი ნევროლოგიაში, სადაც ყველაზე მეტად ხდება ადამიანების დახმარება. მეტად პუმანური და ადამიანებთან გაცივრებით ახლოს მდგომი პროფესიაა.

**რამდენად რთულია დღეს იყო ექიმი?**

დღეს ძალიან რთულია იყო ექიმი - თანაც პერიოდში ორმაგად რთულია. იმ მარტივი გადასახედიდან, რომ ჩვენ გვაქვს სპეციალიზაცია და ლიცენზირება, რომელიც გავიარეთ 2001 წელს. მას შემდეგ ჩვენს სპეციალიზაციაზე, თანამედროვეობა ითქვას, რომ არავინ ზრუნავს და რომ არა შენი მაღალი პასუხისმგებლობა პროფესიის, ადამიანების მიმართ, შენი პირადი სურვილი და მოტივაცია ახლის ძიების, სხვა შენით არავინ დაინტერესდება. ვიცი ჩემი კოლეგების აზრიც, თანახმა ვართ, რომ იყოს ლექცია სემინარები, შეხვედრები, თუნდაც ფასიანი ტრენინგები. ზღვაში წვეთია ის ტრენინგები, რომლებსაც ძირითადად წამლის სააგენტოები აკეთებენ და ის ხარისხი ნამდვილად არ არის, რაც უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, კვალიფიკაციის ამაღლება ან დატრენინგება, ძალიან პრობლემატური საკითხია და ფაქტობრივად, ამ მხრივ ყურადღება ნულის ტოლია. მახსენდება ჩვენთვის, ყველათვის საყვარელი ლექტორის მარინა ჯანელიძის სიტყვები: „შეიძლება იცხოვროს ხევისკურთხე, გქონდეს ინტერნეტი, კომპიუტერი და იყო კარგი, მაღალი რანგის ექიმი“. როდესაც გვაქვს ინტერნეტი და სურვილი, ყოველთვის შეიძლება, რომ ეზიარო სიახლეებს და შემდგომ უკვე გამოიყენო ის ცხოვრებაში და საქმიანობაში.

**როგორია იყო ქალი, დედა და ექიმი ერთდროულად?**

რომ გითხრა, რთული არ არის-მეთქი, ალბათ, არ დაიჯერებთ. ძალიან რთულია. მე, ჩემი შეგნებული ცხოვრებით ვცდილობდი, რომ ყველა მიმართულებით მეტ-ნაკლებად ნარმატიული ვყოფილიყავი. ერთიანად ნარმატიული, რა თქმა უნდა, ყველაფერში ვერ ვიქნებოდი, მაგრამ, ჩემი ცხოვრების კრედი ასეთია, რომ იყო კარგი დედა, იყო კარგი მეუღლე და კარგი პროფესიონალი. ეს რამდენად კარგად მოვახერხე, არ ვიცი, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ვეცადე. სჯობს, რომ სამივე მიმართულება პრიორიტეტად გაიხადო ადამიანმა: იყო ოჯახში და იყო პროფესიონალიც. თანაც ახლა ისეთი დატვირთვა არ არის, როგორც ადრე იყო, სასწრაფო დახმარების ცენტრმა თუკი უკეთესობა მოიტანა, ბევრი რამ შეიცვალა კიდევ. რამდენიმე გამოძახება მაინც მიწვევდა სხვადასხვა სოფელში, იმიტომ რომ ნევროლოგია მაინც სხვა სფეროა. ფაქტობრივად, ძალიან ხშირად უდევოდაც ყოფილან ჩემი შვილები და ერთმანეთზე მეტი პასუხისმგებლობა ჰქონდათ ალბათ. შეიძლება ითქვას, რომ შორეულ წლებში პირადი ცხოვრებისთვის ძალიან ცოტა დრო მიჩვენებოდა. მიუხედავად ამისა, მაინც არაფერს შევცვლიდი ჩემს პროფესიაში. მიმაჩნია, რომ სამივე „ფონტი“ მეტ-ნაკლებად კარგად გავიარე.

**როგორ იმოქმედებ პანდემიამ თქვენს საქმიანობაზე?**

პანდემიამ ექიმთან მისვლის პრობლემა შეუქმნა ძალიან ბევრ პაციენტს. მიუხედავად იმისა, რომ კერძო კაბინეტი მაქვს და ყველანაირ რეგულაციას ვიცავ, მაინც სატელეფონო კონსულტაციაზე გადავიდა დღევანდელი მედიცინა. მაგრამ, ნევროლოგია ხომ არ არის ის სფერო, რომ დისტანციურად შეძლო ადამიანების სრულფასოვანი მკურნალობა? მხოლოდ სატელეფონო კავშირით, ვერ შევძლებთ ზუსტი დიაგნოზის

დასმას, რაც ნამდვილად ართულებს როგორც ექიმის, ასევე პაციენტის მდგომარეობასაც. ნევროლოგიური ფონიც გამაძვრებელია, ვიღებ ძალიან ბევრ ზარს პოსტ-კოვიდური შფოთვის მქონე ადამიანებისგან, წინა პლანზე წამოვიდა პოსტ-კოვიდური ინსომნია, მანამდე იყო პრე-კოვიდური შფოთვებიც. თვითონ ინფიცირებულებშიც არის მსგავსი სიმპტომები, რომ მუდმივად ემზინათ, გაურკვეველობაში არიან და ა.შ. მომავალში კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდება, რა დროით დაახინა პანდემიამ ადამიანის ნერვული სისტემა.

**რას ურჩევდით საზოგადოებას, როგორც ექიმი?**

რადგან აცრების პერიოდში ვართ და ეს საკითხი ძალიან მწვავედ დგას, მე ვეტყვი საზოგადოებას, რომ აცრა არის ერთ-ერთი საუკეთესო გამოსავალი ამ მდგომარეობიდან თავდასაღწევად, ყველანაირი თვალსაზრისით. აცრებისადმი მეტი ნდობა საჭირო. ტენდენცია, რაც ძალიან შეიმჩნევა, ეს არის ექიმებისადმი უნდობლობა. სწორედ აქედან გამომდინარე, ვურჩევდი, რომ მეტი ნდობა ჰქონდეთ ექიმის, ვიდრე ინტერნეტში ნაკითხული ინფორმაციის. ყველას ვუსურვებ ჯანმრთელობას!

\*\*\*  
**მარინა ლვინიაშვილი:** „ალბათ, ყველამ იცის, რომ ჩემი მშობლები ექიმები იყვნენ. მამა ქირურგი მყავდა, დედა თერაპევტი და ბავშვობიდან, მუდმივად ამ სფეროში ვტრიალებდი. უნდა ითქვას, რომ სხვა პროფესიას ვერც ვცნობდი და



არც მიფიქრია, სხვა საქმეს დავუფლებოდი. ეს საქმე იმიტომაც შემეყვარდა, რომ ძალიან კეთილმოილოური საქმეა და აკეთებ კარგ საქმეს, ესმარები გაჭირვებულ ადამიანებს. მივიჩნიე, რომ ამაზე უკეთეს პროფესიას ვერც ავირჩევდი.

**რამდენად რთულია იყო ექიმი?**

ძალიან რთული და საპასუხისმგებლო საქმეა ექიმობა. უნდა გიყვარდეს საქმე, რომელსაც ემსახურები, უნდა გიყვარდეს ხალხი და იყო კეთილმოილი. მენს პროფესიაში უნდა იყო თავდაუზოგავი. თუ ადამიანები არ გეყვარება, კარგი ექიმი ვერანაირად ვერ იქნები. უნდა შეენირო ამ საქმეს, თუ გინდა, რომ კარგი პროფესიონალი იყო. ძალიან ხშირად ჩემი ოჯახიც ზარალდებოდა ჩემი მუდმივი მოუცვლელობით. მაღალია ჩემს მეუღლეს, რომ მუდმივად მხარში მდგა და იმ წლებში, როდესაც ბავშვები პატარები მყავდნენ და ყველაზე მეტად მიჭირდა, ყოველთვის ვგრძნობდი მის თანადგომას. ერთხელ ასეთი ამბავიც შეგვემთხვა: გამომიძახეს საავადმყოფოში, რადგან ძალიან მძიმე პაციენტი გვყავდა. სახლ-

ში ჩემს ერთ-ერთ შვილს მაღალი სიცხე ჰქონდა. მაგრამ პაციენტის რთული მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩემი იქ ყოფნა აუცილებელი იყო. რა უნდა მექნა? დავეტოვე სიცხიანი ბავშვი სახლში და წავედი ჩემი საქმის შესასრულებლად. იმდენად რთული მდგომარეობა იყო, რომ ნუთითაც კი ვერ ვტოვებდი. ამ დროს სახლიდან ჩემი მუდმივად მივრეკავდი, რომ ბავშვს სიცხე უკვე 40 გრადუსამდე ჰქონდა. სხვა გამოსავალი რომ ვერ ვნახე, გამოვიძახე სასწრაფო დახმარების ბრიგადა და გავგზავნე ჩემს მისამართზე. ჩემმა კოლეგებმა ოპერატიულად გაუწიეს დახმარება ჩემს შვილს, მაშინ როდესაც მე სხვა ადამიანის სიცოცხლის გადარჩენად ვიბრძოდი.

**როგორც ვიცი, თქვენ ქარვეთ ხართ დინტერესებული და თქვენი გამოცდილება მოწყონ დედოფლისწყაროში. რა ადგილი უყავია თქვენს ცხოვრებაში ხელოვნებას?**

სიმართლე, რომ გითხრა, არ ვიცი როდის და როგორ მოვიხადე ეს საქმე ჩემს ცხოვრებაში. ვფიქრობ, შინაგანად ხელოვანი ვარ, მიყვარს ყველაფერი, ქარგვა, ქსოვა, მხატვრული ლიტერატურა. იმ დაძაბული სიტუაციების, ცხოვრების რიტმის შემსუბუქება მინდოდა და ცხოვრების გალამაზებაც, ალბათ, ამ გზით გადავწყვიტე. რუტინული და თანაც ასეთი მძიმე შრომა, ადამიანში ამ მოთხოვნილებასაც აჩენს. სამყარო მინდოდა დამენახა ლამაზი თვალით. მინდოდა, დამენახა ეს სამყარო უფრო ფერადი, რომ მარტო სიკვდილთან კი არ გაქვს საქმე, არამედ არსებობს უამრავი რამ, რითიც შეიძლე-

ბა გაილაშაზო ცხოვრება და უფრო ბედნიერად იგრძნო თავი. ეს არის შვილები, ოჯახი და სილამაზე და ქველური ჩემი ხელსაქმე.

**რას უსურვებთ ჩვენს მკითხველს?**

„შპირკველს ყოველსა, ჯანმრთელობას, რადგან მისი ფასი ამ ქვეყანად არაფერი არ არის. ჩემს კოლეგებს ვულოცავ პრფესიულ დღესასწაულს, თითოეულ ამთხანს გამალონებს, სიკეთეს და შრომისმოყვარეობას ვუსურვებ. პაციენტებსაც მივსურვებ თითოეული მაღლობა ღირს შრომის ფასად არის მოპოვებადი და მინდა, რომ ეს მუხტი არასოდეს დაეპარგოთ!“

ას გავხუთი „შირაჰის“ რედაქციის ჩვენი მუნიციპალიტეტის მდიროსსავე ულოცავს პროფესიულ დღეს. უსურვებს მათ მხნობასა და ჯანმრთელობას, ჩვენივე მოსახლეობის საპატივდელი!“

## ქართული ოფთალმოლოგიის უცნობი ფუძემდებელი

**პიროვნების შესახებ, რომელზეც ქვემოთ მოგიხსნათ, მე პირადად ვერის ძველი სასაფლაოს ვიდეო-ექსკურსიდან გავიგე. სწორედ ამ ვიდეოთი, მის ექსკურსიანობიდან, თბილისის ხელოვნების სასახლის დირექტორთან, გიორგი კლანდაძესთან ერთად, ახალი აღმოჩენის შემსწრე გავხვდი - ებრაულ, ირანულ, სომხურ თუ ქართულ საფლავებში, ცნობილ ბოჟარჯიანებს, დანიელ ქონჯაძეს, ლავრენტი არდაზიანს, ალბინის ფუძემდებელ ჯაფარიძეებს, ტელეგრაფისტ ძმებ სიმენსებს, იზბაშინებს, აზარანცებს, მრევლიძეებს, გირგადოებს, ძმებ ანანოვებს, საქართველოს გეოგრაფიის ფუძემდებელ აღნიშნულებს, ქიქოძეებს და ალექსანდრე ბაგრატიონ-მუხრანელს შორის „აღმოვაჩინეთ“ ძველი, შელახული ქვა.**

ქვის ერთ გვერდზე გიორგი (გიგო) ალექსანდრეს-ქე ტარსაიძის დაბადებისა და გარდაცვალების წლები (1857-1904), ხოლო მეორე გვერდზე, არც მეტი-არც ნაკლები, აკაკი წერეთლის ლექსი იყო დატანილი, რომელიც მგოსნის კრებულში მესამე ტომშიც რომევი, სახელწოდებით „ტარსაიძის ხსოვნას“:

„შეივარდო მოყვასი შენი!  
ეს იყო ქვეყნად ქრისტეს მოძღვრება  
და ამახანც ეს შეისისხლსოცა  
ვით წმინდა მცნება და ნეტარება.  
უგვარდა მოძმე, განურჩევლად  
გვარ-ტომობისა ეჭირა თვალი,  
სორციელადა თვალის ქვიმი  
სულიერადაც იყო მკურნალი.  
მაგრამ სოფელმა აღარ აცალა,

ქვეყნის მუშაკი მოხლო უდროოდ,  
და უქუჩიანი, მოსიყვარულე,  
აქ განისვენებს ამიერ მუდროდ!  
„იყო სოფელში და სოფელს არცო“  
დატოვა ქვეყნად წმინდა სახელი!  
სამაჟალიდითოდ იყოს ამ ქვეყნად  
მისი ნეტარი სახესწიველი!“

იმ მომენტისათვის, ამ სასიქდელო პიროვნების ვინაობა ჩრდილის ქვეშ იმყოფებოდა, ეროვნულ არქივშიც მისი ერთადერთი ფოტო მოიპოვებოდა, ნინო ერისთავი-ბეგთაბეგოვის არქივიდან.

**გიორგი ტარსაიძე** დაიბადა 1857 წლის 8 ივლისს, გორის მაზრის სოფელ ბერეშეთში. იყო პირველი ქართველი ექიმი, რომლის ძირითადი პროფესია ოფთალმოლოგობა გახლდათ. მან განათლება საზღვარგარეთ მიიღო, დაბრუნდა თბილისში და კაბინეტი თავდაპირველად საკუთარ სახლში გახსნა, სადაც სრულიად უსასიხლოდ მკურნალობდა სნეულებს. გიგო ტარსაიძის სახლი დღევანდელ ქაჩიურის ქუჩაზე მდებარეობდა, მისივე თვალის კლინიკა კი - უკანა ეზოს მეორე მხარეს, ცნობილი ახვლედიანის (პეროვსკაიას) ქუჩის №7-ში.

1892 წელს გიორგი ტარსაიძის თაოსნობით თბილისში გაიხსნა თვალის სნეულებათა საქველმოქმედო საავადმყოფო (როგით მესამე რუსეთის იმპერიის მასშტაბით, მოსკოვისა და პეტერბურგის კლინიკების შემდეგ), რომლის დირექტორიც გარდაცვალებამდე თავად გახლდათ. ამ საავადმყოფოს ბაზაზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერ-

სიტეტის გახსნის შემდეგ, რომლის ცნობილი შენობის (დღევანდელი პირველი კორპუსის) ასაშენებელი მინის ნაკვეთის შექმნაშიც ტარსაიძეს დიდი წვლილი მიუძღოდა, ჩამოყალიბდა თვალის სნეულებათა კლინიკა. უნინ გიორგი ტარსაიძის სახელს ატარებდა თვალის დაავადებათა რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო (ამ საავადმყოფოს ბაზაზე არის შექმნილი ამჟამად მოქმედი მრავალპროფილური კლინიკა „ნიუ ჰოსპიტალსი“). გიორგი ტარსაიძე არის ევროპული ტიპის ქართული ოფთალმოლოგიური სკოლის ფუძემდებელი. მას საპატიო ადგილი უჭირავს ქართული მედიცინის ისტორიაში:

„ტფილისში თვალის სატკივარის სამკურნალოს დაარსების პრეპტი უკვე დაუმტკიცებია შინაგან საქმეთა მინისტრს. ამიტომ უსინათლოთა სამსურველოს ამირ-კავკასიის განდმყოფის დაუქარავებია აღნიშნულ სამკურნალოსთვის შენობა ტფილისის პირველ ნაწილში, საპირის ქუჩაზედ. ამ სამკურნალოში ყოველ დღე გარედან მოსარულე თვალით ავადმყოფი მიიღებენ და ამას გარდა სამკურნალოშიაც ოთხი განყოფილება იქნება გამართული. სამკურნალოს გამგედ დანიშნულია ტფილისის ექიმი ზნი ტარსაიძე“ - გაზეთი „ივერია“, 22 ოქტომბერი, 1892წ. გიგო ეროდირებული ექიმი და დახელოვნებული ოპერატორი გახლდათ, რომელიც ზედმინეცნიერ ფლობდა ოფთალმოლოგიური კვლევების მეთოდებს. იგი დამსახურებული პოპულარობით სარგებლობდა მთელს კავკასიაში. მისმა პროფესიონალიზმმა საინდარი ჩაუყარა ქართული ოფთალმოლოგიური სკოლის შემდგომი

თაობების სიძლიერეს. ტარსაიძის მოსწავლეები იყვნენ შემდგომში ცნობილი ოფთალმოლოგები: ვახტანგ მუსხელიძე, ალექსანდრე შატილოვი, კოთოფურიძე...ტარსაიძის უშუალო ხელმძღვანელობითა და ინიციატივით საქართველოს მაზრებსა და რაიონებში წაყოფიერებული მუშაობის ენოდნენ ე.წ. „თვალის მფრინავი რაზმები“. გიგოს უფროსი ძმა, ნიკოლოზ ტარსაიძე, ცნობილი იურისტი და საზოგადო მოღვაწე გახლდათ, რომელმაც ქართულ სასამართლოში პირველად შემოიღო საქმის ქართულ ენაზე წარმოება.

საინტერესოა, რომ გიორგი ტარსაიძის შვილი, მწერალი და კადეტი ალექსანდრე ტარსაიძე ემიგრაციაში, ამერიკაში მოღვაწეობდა, რომლის შესახებაც დღემდე ინახავს ინფორმაციას სტენფორდის უნივერსიტეტი. იგი აშშ-ში, ნიუ იორკში, ნოვო-დედვეოს მართლმადიდებლური მონასტრის ეზოშია დაკრძალული.

როგორც დასაწყისში ლექსიდან მივხვდით, გიგო 1904 წლის 27 დეკემბერს, თბილისში საკმაოდ ახალგაზრდა, 47 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისმა მეგობარმა, ნიკო ლომოურმა ტარსაიძეს მოთხრობა „პატარა მეგობრები მიუძღვნა“. „ნიუ ჰოსპიტალსის“ „ოფთალმოლოგის ეროვნულ ცენტრში“ 2018 წლის 11 ოქტომბერს, მხედველობის მსოფლიო დღის აღსანიშნავად, გიორგი ტარსაიძის, როგორც ქართული ოფთალმოლოგიის ფუძემდებლის, ბიუსტი გაიხსნა.

გვერდი მოამზადა  
საბუნა ბანაშვილმა

# ახალი შენაძენი - მუზეუმს

**დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ის წიგნია, სადაც ისტორიის ნივთები ჰყვებიან. მუზეუმის ორმოცდახუთწლიანი ისტორიის მანძილზე ნაგროვებ უამრავ ნივთს ახალი ექსპონატები შეემატა.**

დღეს ჩვენ ვისაუბრებთ სწორედ იმ მონეტების შესახებ, რომლებიც მუზეუმს საჩუქრად გადმოსცა დედოფლისწყაროელმა მარიამ ბოჭორიძემ. მან მოქალაქეობრივი მოვალეობა და პატრიოტული გრძნობა გამოავლინა და მიიჩნია, რომ მონეტების ადგილსამყოფელი მუზეუმში უნდა ყოფილიყო. ეს არის რუსუდან დედოფლის სპილენძის ფული და მეთვრამეტე საუკუნის ვერცხლის მონეტა.

ვინ არის მარიამი? - მარიამ გოგოჭურმა დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ-პოლიტიკური მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურა სახელმწიფო მართვისა და საჯარო პოლიტიკის განხრით. არის საჯარო მმართველობის მაგისტრი. ამჟამად მუშაობს თბილისის 220-ე საჯარო სკოლაში დირექტორის მოადგილის პოზიციაზე, აქტიურადაა ჩართული მიმდინარე საჯარო პოლიტიკურ პროცესებში.

მუზეუმისთვის ერთი ცალი მონეტაც კი ჩვენი წარსულის შესწავლას დიდ სამსახურს გაუწევს. მონეტა უტყუარი და ფასდაუდებელი ძეგლია, ის დოკუმენტური მასალაა, რომელიც ასახავს ჩვენი ხალხის შორეული წარსულის სახელმწიფოებრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ წყობილებას.

მონეტის გამოსაცნობად მხოლოდ ნუმიზმატიკის ცოდნა არ არის საკმარისი. ის მჭიდროდ არის დაკავშირებული ისტორიასთან. მასზე ასახულია ქარიშხლიანი წარსული ჩვენი ერისა.

მეცამეტე საუკუნეში მოჭრილი რუსუდან დედოფლის სპილენძის მონეტა ჩვენი წარსული ცხოვრების ნათელ და ზუსტ სურათს წარმოგვიდგენს.

მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეების საქართველოს კულტურულ-პოლიტიკურ აღორძინებას - „ოქროს ხანას“ უცნაურად უპირიპირდება მისი ნუმიზმატიკის „სპილენძის ხანა“. „ვერცხლის კრიზისი“, რომელიც უკვე მეთერთმეტე საუკუნიდან მთელ წინა აღმოსავლეთს მოედო, ვერც საქართველოს ასცდა.

ქართულ მონეტებზე არაბული წარწერების ხმარებას (რომელიც ჩვენ-

თან წარმოდგენილ მონეტებზეც არის) ზოგი მკვლევარი ქართველ მეფეთა ამ მფლობელებზე დამოკიდებულებით ხსნიდა. აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმაც ეს მოსაზრება უარყო და განმარტა, რომ ეს მეზობელ მუსულმანურ ქვეყნებში მხოლოდ ქართული ფულის გავრცელების საჭიროებით იყო გამოწვეული. არასტანდარტულად მოჭრილი მონეტების გამოშვება და ამ მონეტებისთვის უჩვეულო ფორმის მიცემა ზუსტად ვერცხლის კრიზისის უშუალო გავრცელებას წარმოადგენს.

რუსუდანის (1223-1245 წწ) მმართვე-

ლენძის ფული.  
რუსუდან დედოფლის ჩვენთან წარმოდგენილი მონეტის გარეგანი აღწერილობა ასეთია: მონეტის შუბლი (ავერსი) რთული ორნამენტული ჩარჩოს ცენტრშია რუსუდანის ასომთავრულით დაქარაგმებული სახელი ორნამენტის ბუდეებში თარიღი

ე.ი. „ქორონიკონსა 447 (1227 წ) (ძველ საქართველოში საკუთარი წელთაღრიცხვა არსებობდა, რომელსაც ქორონიკონს უწოდებდნენ. თარიღის აღსანიშნავად ციფრების ნაცვლად ანბანის



ლობისას ჩვენმა ქვეყანამ ბევრი უბედურება განიცადა. ჯერ კიდევ მონღოლთა საბედისწერო შემოსევამდე ბაგრატიონთა აყვავებული სახელმწიფო საფუძვლები ჯალალ-ედინის უეცარმა თავდასხმამ შეარყია. რუსუდან დედოფალი, მთელი სამეფო კარით, იმერეთს გააქცია. თუმცა მათი თარეში საქართველოში ხანგრძლივი არ იყო. სულ მალე ის გააძევეს და რუსუდან დედოფალი, თავისი კარით, თბილისს დაბრუნდა, მაგრამ სანამ ეს მოხდებოდა, სამი წლით ადრე გაჩნდა რუსუდანის სახელით აღბეჭდილი სპი-

ასოებს ხმარობდნენ, რომლებსაც რიცხვითი მნიშვნელობა ჰქონდა. ქორონიკონს საფუძვლად 532 წლიანი ციკლი ანუ მოქცევა უდევს საფუძვლად. ჩვენთან ქორონიკონთა წელთაღრიცხვა 780 წლიდან შემოვიდა)

ზურგი: (რევერსი) ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი: „დედოფალი მეფეთა და დედოფალთა, შვება ქვეყნისა, სამეფოსი და სარწმუნოებისა, რუსუდან, ასული თამარისი, მესიის თავყვანისმცემელი, განადიდოს ღმერთმან ძლევენი მისნი“.

რაც შეეხება მეორე მონეტას, ის მეთვრამეტე საუკუნეს მიეკუთვნება. საქართველოში მეთვრამეტე საუკუნის 70-იან წლებში საერთო ირანული ტიპის ვერცხლის მონეტის გამოშვება შეწყდა და თბილისის ზარაფხანამ სრულიად განსხვავებული ტიპის ვერცხლის ფულის მოჭრა დაიწყო. მართალია, მონეტის ტიპი იმდენად თავისებური და ორიგინალურია, რომ ქართველი ხალხის იმდროინდელი თაობის წარმომადგენელი მას „სირმა ვერცხლს“, სირმა აბაზს უწოდებდნენ.

მონეტის შუბლი: (ავერსი) რვაკუთხიანი ჩარჩოში მოთავსებულია სპარსული ზედწერილი, რომელიც გამცნობს მოჭრის ადგილს (თბილისი) და თარიღს ჰიჯრით (ჰიჯრა მაჰმადიანური წელთაღრიცხვაა, შემოდებული იყო 622 წელს). ჩარჩოს ზემოთ მომცრო ოვალში - „ია ქერიმ“, ე.ი. „მონყალი“.

ზურგი (რევერსი) სპარსული ზედწერილი უფალი ღმერთის განდიდებას გვაუწყებს.

სამწუხაროდ, მონეტაზე აღბეჭდილი თარიღი არ იკითხება. ლითონის ძალიან მალალი ხარისხის გამო, ამ „სირმა ვერცხლს“ ჩვენში ძალიან დიდხანს ჰქონია ბრუნვის უნარი. რუსეთის კარგახნის შემოსვლის შემდეგაც კი სირმა-აბაზიანების თავისუფალი ხმარება დიდხანს არ შეწყვეტილა.

ყანგმოკიდებული, გარეგნობით ცივი და მუწვი, მაგრამ განვლილი ჩვენი ცხოვრების ეს უტყუარი მონმენი-ნუმიზმატიკური ძეგლები, მეტყველებენ ჩვენი დიდი წარსულის შესახებ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში ქართველი ხალხის გამირობისა, სიმტკიცისა და თავგანწირულობის შესახებ.

მინდა, მუზეუმის თანამშრომელთა სახელით მადლობა ვუთხრა მარიამ გოგოჭურს ამ ფასეულობათა გადმოცემისათვის და მოვუწოდო მოსახლეობას, თუ მათ აქვთ ისტორიული ღირებულების რაიმე ნივთი, შესწირონ მუზეუმს, რათა ნივთმა თავისი დანიშნულება შეასარულოს, ადამიანებს უამბოს ჩვენი ერის თავგადასავალი. სახლში გამოშვებულ ასეთ ნივთს ნაკლები ღირებულება აქვს თუ ის ხალხს არ ემსახურება.

ლალი ბასილაშვილი  
დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტი

## „საით გადახტა კატა?“

**ნაპოლეონ ბონაპარტს გაზეთების ეშინოდა, რადგან მიაჩნდა, რომ პრესას საზოგადოებაზე დიდი გავლენის მოხდენა შეეძლო. უნდა ვთქვათ, რომ შიში ლოგიკური იყო. ნებისმიერი ტიპის მედია-საშუალება, საზოგადოების აზროვნების ძირითად ხაზს აყალიბებს და მნიშვნელოვანი გადანწყვლებებისა თუ ცვლილებების მაპროვოცირებელი ფაქტორიც, უმეტესწილად, სწორედ ის ხდება.**

ჩვენი უახლოესი წარსულიდან დღემდე, ქართულ მედია სივრცეს, არ აქვს მნიშვნელობა ეს ტელემედია იქნება თუ ჟურნალ-გაზეთები, არაერთი დამსახურებული თუ ხშირად ზღვარგადასული,

აზრსმოკლებული კრიტიკაც მიუღია. თუ ვიტყვით, რომ ჩვენი სოციალური და მასში მიმდინარე პრობლემური და ხშირად მტკივნეული პროცესები, გარკვეულწილად, ყურადღების მიღმა რჩება, ალბათ, მსგავსი დამოკიდებულება ლოგიკურია. სწორედ ეს ქმნის ერთგვარ უნდობლობის პლატფორმას, რომელიც დღეს ქართულ საზოგადოებას, ზოგადად, ჟურნალისტიკის მიმართ აქვს.

მაგრამ...აქ არის ერთი მაგრამ. როდესაც ვსაუბრობთ მედიის მიმართ კრიტიკაზე, რაც, უნდა ვაღიაროთ რომ, ამ უკანასკნელს ნამდვილად არ აკლია, ასევე უნდა ვისაუბროთ და აუცილებლად

უნდა ვახსენოთ, კრიტიკული ანალიზის უნარიც, რომელიც ნამდვილად განსხვავდება უპასუხისმგებლო ლანძღვისგან. კრიტიკა მხოლოდ გულის „მოფხანვის“ საშუალება კი არ უნდა იყოს, ის უნდა ეძებდეს არასასურველი შედეგების მიზეზებს და არსებული მდგომარეობიდან გამოსავლის გზების ძიებასაც უნდა ცდილობდეს. შესაბამისად, კრიტიკის პარალელურად, უნდა ვიფიქროთ იმაზეც, თუ რას ვაძლევა და რა პირობებს ვუქმნით ჩვენ, როგორც საზოგადოება, რიგით ჟურნალისტს. ასევე იმაზეც, თუ რა უნდა გამოვასწოროთ, რომ გვექონდეს უკეთესი მედია.

მასობრივი მედიის ისტორიასა და თანამედროვეობაზე მარტივად თვალის შევლება კი ცხადყოფს იმას, რომ მას-მედია გაცილებით უფრო რთული და მრავალნაწილია სისტემაა, ვიდრე ტელესტუდია ან გაზეთის რედაქცია. მეტიც, სტუდია და რედაქცია შეგვიძლია გიგანტური აისბერგის მხოლოდ ხილულ მწვერვალად წარმოვიდგინოთ, აისბერგის, რომლის უდიდესი ნაწილი ჩვენი თვალისგან დაფარულია. ალბათ, არ იქნება ხმამაღალი ნათქვამი, თუ ვიტყვით, რომ რიგითი ქართველი ჟურნალისტის ყოველდღიური საქმიანობა ერთ-ერთი ყველაზე სტრესულია შრომის დანაწილების მთელ პირამიდაში. თუ ამ ხარვეზების მასშტაბებს გავაცნობიერებთ, დავინახავთ, რომ მთლიანობაში, ალბათ, შეუძლებელია გვექონდეს იმაზე უკეთესი მედია, ვიდრე რეალურად გვაქვს.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ კრიტიკული ცვლილებების პერიო-

დში გვინევს ცხოვრება და შესაბამისად, ჟურნალისტური მოდულებიც მუდმივად იცვლება. თუმცა არ იცვლება ერთი რამ - მედიის დანიშნულება, რომელიც საზოგადოების ინფორმირებაა უმთავრესი მოთხოვნის დაცვით - რომ მიწოდებული ინფორმაცია იყოს ობიექტური, გადამოწმებული და აქტუალური. **არტურ სულციერბერი,** კომპანია ნიუ იორკ თაიმის დირექტორი და გამომცემელი, აღნიშნავდა, რომ „**ჩვენ, ჟურნალისტები, ადამიანებს ვუბნებით საით გადახტა კატა. შედეგ კი საზოგადოება თავად დაკავდება კატი**“. ოსკარ უაილდს თუ დავესხებით, და დავსვამთ კითხვას, თუ რით განსხვავდება ჟურნალისტიკა და ლიტერატურა, ის გვეტყვის, რომ „**ჟურნალისტიკა არ იკითხება, ლიტერატურას კი არ კითხულობენ**“. მედიის და მათ შორის, კონკრეტული ჟურნალისტების მეცდომებზე ლაპარაკი აუცილებელია, რადგან ადეკვატური რეაქციის პირობებში, კრიტიკამ შეიძლება სერიოზულად გააძლიეროს კრიტიკის ობიექტი; მაგრამ ყოველთვის, როცა საზოგადოების ინტერესებიდან გავაკრიტიკებთ მედიას და ჟურნალისტებს, ალბათ, უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ თავად ჟურნალისტებიც ამ საზოგადოების ნაწილს წარმოადგენენ.

შედეგად, თუ უინსტონ ჩაჩჩილს დავუპირებთ: „**უფრო მარტივია ბას-რისო პრესა, ვიდრე მოიგადლიერო, ან მოიბო მისი გული**“.

მამაზადა  
შუშუნა ყანაშვილი



# „იმოქმედა ახლა! ჩააქრე! - დედამიწის გულითვის“

ალბათ, ეს ღოზუნგი ასეთი სიმბოლოური არასდროს ყოფილა, როგორც ბოლო ორ წელს. დედამიწამ ერთმნიშვნელოვნად „მოითხოვა“ დასვენება. 2020-2021 წელს მან ნამდვილად გვითხრა, რომ დროა მისი გულისთვისაც გავაკეთოთ ელემენტარული რამ, იმდენად ელემენტარული, როგორცაა დედამიწის საათის მოწყობა.

რა არის დედამიწის საათი? დედამიწის საათი (World Earth Hour) - პლანეტის დასაცავი ყოველწლიური ღონისძიებაა, რომელიც მარტის თვეში ტარდება და მთელი მსოფლიო უერთდება. მისი ორგანიზატორი არასამთავრობო ორგანიზაცია ქსქ (ქორლდ ქილდლიფე ჰუნდ) - ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდია, რომელიც 1961 წელს დაარსდა. ორგანიზაციის ლოგოზე დათვი პანდაა გამოსახული. ორგანიზაციის მთავარ მიზანი ბიომრავალფეროვნების დაცვა და ჩვენს გარემოზე ადამიანის გავლენის შემცირებაა.



„დედამიწის საათი“ პირველად 2007 წელს, ავსტრალიაში, სიდნეიში გაიმართა. მოგვიანებით, მასში მსოფლიოს 7 000 ქალაქი ჩაერთო. დღეს კი ის გარემოს დაცვის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ღონისძიებაა. ჩვეულებრივი მოქალაქეები, საზოგადოებები თუ ბიზნეს-დანეშეულებები სურვილისამებრ ერთვებიან ამ ღონისძიებაში, რაც ერთი საათის განმავლობაში სინათლის გათიშვას ითვალისწინებს. ეს ქმედება სიმბოლოურად ასახავს ჩვენს ერთგულეზას დედამიწისადმი. თქმცა დედამიწის საათი უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ პლანეტის საათი - ის მოძრაობაა ჩვენი მომავლისთვის. შესაბამისად, დედამიწის საათი სცილდება შუქის გათიშვის სიმბოლოურ მოქმედებას: ეს არის გარემოზე პოზიტიური ზემოქმედების და სასწრაფო ცვლილებებისთვის კატალიზატორი - კოლექტიური მოქმედების გამოყენებით. ისტორიულად, „დედამიწის საათი“

კლიმატის ცვლილების შესახებ ცნობიერების ამაღლებას და მის შესაძლო საავალალო ზეგავლენის შეჩერებას ისახავდა მიზნად. ბოლო დროს, ეს ღონისძიება ყურადღებას ისეთ მნიშვნელოვან პრობლემას უთმობს, როგორც ბუნების კარგვაა. „დედამიწის საათის“ მთავარი არსი ისაა, რომ კიდევ ერთხელ გავისხენოთ ბუნების მნიშვნელობა და დავფიქრდეთ მისადმი ჩვენს დამოკიდებულებაზე, გავიზაროთ ის, რომ ჩვენი მომავალი მთლიანად დამოკიდებულია ბუნების სიჯანსაღეზე, შესაბამისად, ის თუ როგორ ვექცევით, ბუნებას პირდაპირპროპორციულად აისახება ჩვენს ცხოვრებაზე“, - აცხადებს ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის ოფისის ოპერაციების დირექტორი მარინა ზაბზანიძე. ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის ოფისმა შექმნა ვებგვერდი earthhour.ge - პლატფორმა, რომელიც ბუნების გულშემატკივრებს აერთიანებს. წლებიდან „დედამიწის საათთან“ დაკავშირებული ღონისძიება მსოფლიო პანდემიის გამო, გასულ წლებთან შედარებით, განსხვავებული იყო.

დღეს არსებული გლობალური არასტაბილურობა არის ის საფასური, რომელსაც კაცობრიობა ბუნებისადმი უდიერი დამოკიდებულების გამო იხდის. ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა შეარყია მსოფლიო. ჩვენ დღემდე ვებრძვით უპრეცედენტოდ ტრაგიკულ სოციალურ-ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ პრობლემებს. ნათელია, რომ ჩვენი და ჩვენი პლანეტის მომავალი არსებითადაა ერთმანეთთან დაკავშირებული, ხოლო საფრთხე, რომლის წინაშეც დღეს აღმოვჩნდით — საერთოა. 2020-მა წელმა დაგვიდასტურა, რომ ბუნება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი არსებობისთვის. ჩვენი მომავალი დამოკიდებულია ხელუხლებელი ბუნებრივი სისტემების სიჯანსაღეზე. როგორც ვეპყრობით ბუნებას — აისახება ადამიანებზე. ამიტომ, ჩვენ სასწრაფოდ უნდა დავაბალანსოთ ეს ურთიერთობა. 2021 წელს „დედამიწის საათისადმი“ მიძღვნილი ღონისძიება, 27 მარტს, ადგილობრივი დროით 20:30 საათზე, ვირტუალურ ფორმატში ჩატარდა. ეს იყო ბუნებასთან გაერთიანებისა და მასზე საუბრის შესაძლებლობა. „დედამიწის საათი“ მთელ მსოფლიოში ადამიანებს მოუწოდებს ჩააქრონ სინათლე და აიმაღლონ ხმა ბუნების დასაცავად. „კორონავირუსი თავის ნესებს გვკარნახ-

ობს ამ შემთხვევაშიც და წლებიდანელი ღონისძიებაც, არსებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, ჩატარდა ონლაინ-ფორმატში. მთავარი მესიჯი უცვლელია, ვისაუბრეთ ბუნების მნიშვნელობაზე, იმ გამოწვევებზე, რომლებსაც ყოველდღიურებაში ვხვდებით. მიზეზი, რატომაც ონლაინფორმატში მოგვინია ურთიერთობა, მეტ-ნაკლებად სწორედ ჩვენსა და ბუნებას შორის არაჯანსაღ ურთიერთობას უკავშირდება, შესაბამისად, დღეს არსებული შედეგი ამ ურთიერთობის ბალანსის რღვევის გამოა“, - განაცხადა მარინა ზაბანიძემ.

წლებიდანელი „დედამიწის საათის“ მთავარი მონოდება, რაც შეიძლება მრავალფეროვანი და შემოქმედებითი ხერხებით ბუნების დაცვის აუცილებლობაზე საუბარი იყო. წელს დაინტერესებულ პირებს ხელი შეეწყო „დედამიწის საათის“ ადგილობრივ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად, რათა ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ თავიანთი ისტორიები იმის შესახებ, თუ რატომაც ბუნება მათთვის მნიშვნელოვანი, ან უბრალოდ გაიგონ, რატომ არის ბუნების კარგვა და კლიმატის ცვლილება ორი ყველაზე დიდი გარემოსდაცვითი გამოწვევა, რომელთა წინაშეც დღეს ჩვენი პლანეტა დგას. ვირტუალურ სივრცეში „დედამიწის საათის“ აღნიშვნა ინფორმაციის გაზიარების გზით გარემოსდაცვითი საკითხებზე ცნობიერების ამაღლებას ემსახურება.

თიშიშურა ჰუმანიტარული დედოფლისწყაროელი ფოტოგრაფი, ბუნების დამცველი და ქომაგია. „დედამიწის საათის“ ფარგლებში მან თავისი ისტორია და მოსაზრება გაავიზიარა იმის შესახებ, თუ რატომაც ბუნების დაცვა მნიშვნელოვანთან ერთად ყურადსაღები და აუცილებელიცაა.

„90-ში ზამთრის გრძელ ღამეებს სანთლის შუქზე კითხვაში ვატარებდი, ოჯახთან ერთად. სახლში ერთი ძველი გეოგრაფიული ატლასი გვექონდა, სადაც რუკებთან ერთად, სხვადასხვა ლანდშაფტის ფოტოებიც იყო, დედამიწის სხვადასხვა კუთხიდან. ალბათ, მაშინ გამიჩნდა პირველად, ბუნებაში მოგზაურობის სურვილი. ეს წიგნი იყო ერთგვარი პორტალი ულამაზესი ადგილებისკენ. უფრო გვიან, ვაშლოვანის ნახვამ უკვე დამაკავშირა ბუნებასთან. ბუნებაში მარტო ყოფნა მიყვარს განსაკუთრებით — თითქოს ეს არის ჩემი ბუნებრივი მდგომარეობაც. ყველაფერთან ერთად, ბუნებაზე ზრუნვა ჩემი სამსახურიც არის. გარემოს დაცვის სფეროში თითქმის 15 წლიანი მუშაობის გარდა, ვცდილობ ყოველდღიურ ცხოვრებაშიც დავინერგო



მცირე ცვლილებები. უკვე დიდი ხანია ვაგროვებ და უტილიზაციისთვის ვაბარებ მაკულატურას და ბატარეებს. უკვე ჩვევაში გადავიყვანე ელექტროენერჯის და წყლის გაფრთხილება და სხვა.

„მხოლოდ მე რას შევცვლი?“ — ხშირად გაიგებთ ადამიანებისგან. ეს თავის მართლებად ვერ გამოდგება. არ აქვს მნიშვნელობა, შევცვლი თუ არა. მთავარია, რომ შენ, ერთმა ადამიანმა იგრძნო პასუხისმგებლობა, იმოქმედო სწორად და სხვას მისცე მაგალითი. კაცობრიობის ისტორიამ ბევრჯერ გვჩვენა, რომ ინდივიდების დანეგულ ცვლილებებს მოყვება ხოლმე ჯაჭვური რეაქცია. მით უფრო, ინფორმაციული ეპოქა უნდა გამოვიყენოთ, რომ დედამიწაზე ზრუნვა გადამდები გავხადოთ.

ცხოვრება თანდათან უფრო ჩქარდება. ადამიანები თავს იყრიან დიდ ქალაქებში, სადაც უფრო თავბრუდამხვევია ყველაფერი. საკვებს მაღაზიის დახლებიდან იღებენ, ყველაფერი მზამზარეული მიენოდებათ და ყოველდღიურ საზრუნავში ჩართულებისთვის თითქოს შეუმჩნეველი ხდება როგორ ვნოვთ რესურსებს დედამიწას. დედამიწის საათი ამ რიტმის ერთგვარი დაპაუზებაა და შესხენება ადამიანებისთვის, რომ ჩვენ დედამიწაზე, ცოცხალ ორგანიზმზე ვცხოვრობთ და მას მოფრთხილება სჭირდება. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ამას მხოლოდ სიმბოლოური დატვირთვა არა აქვს, როგორც ბევრს გონია.“

„დედამიწის საათი“ ერთიანობის და იმედის სიმბოლოა. დროა, ვიმოქმედოთ რათა დავიცვათ როგორც ჩვენი პლანეტის სიჯანსაღე, ასევე, საკუთარი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა. უნდა გვახსოვდეს, რომ პატარა აქტივობების განხორციელებით შეგვიძლია დიდი გავლენის მოხდენა ბუნების სასარგებლოდ.

მომზადდა შუშუნა ყანჩაშვილმა

## დედოფლისწყაროს შესახებ წიგნი გამოიცემა

დედოფლისწყაროს მრავალწარმოვან ლანდშაფტსა და მის ჯერ კიდევ დაუდგენელ ისტორიულ ნარსულზე გვირის დანერგვა, მებრამ გვირის რამ კვლავ უცნობია. მუნიციპალიტეტის ცნობალობა მაინც არაა საკმარისი. გვირამ არ იცის, რატომ უნდა ჩამოვიდეს დედოფლისწყაროში და რა საინტერესო ადგილები უნდა მოინახულოს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, გეოგრაფი ბიორბი დვალაშვილი ამბობს, რომ ამ დეფიციტს ჩვენი მუნიციპალიტეტის შესახებ ის წიგნი შეავსებს, რომლის გამოცემასაც უახლოეს პერიოდში აპირებს. ის თავის მაგისტრანტ სტუდენტთან ერთად დედოფლისწყაროს ყველა კუთხე-კუნჭულს კიდევ ერთხელ შემოივლის და ნაშრომს მოამზადებს და წიგნად დასტამბავს.

ექსკლუზიური ინფორმაცია ამის თაობაზე გავი, შირაქს თავად გიორგი დვალაშვილმა მიანოდა.

ბიორბი დვალაშვილი: „მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ისტორიულ-გეოგრაფიული ძეგლებითა და სხვადასხვა ბუნებრივი რესურსით

უმდიდრესი ქვეყანაა, ძალზე მწირია თემატური და ცალკეული მუნიციპალიტეტების შესახებ არსებული ლიტერატურა ამ საკითხებთან დაკავშირებით.


გეოგრაფიული ექსპედიციების დროს უამრავი მასალა გროვდება საქართველოს ნებისმიერ კუთხეზე. საქართველო ძალიან საინტერესოა გეოგრაფიული თვალსაზრისით, რომ აღარაფერი ვთქვათ ისტორიულ ფაქტორზე. როდესაც მასალები არსებობს, გვიჩნდა, რომ ეს ყველაფერი ხელმისაწვდომი იყოს ფართო მასებისთვის პოპულარულ ენაზე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დავიწყეთ პროექტი, რომელიც მუნიციპალიტეტების ტურისტული ობიექტების კვლევას ითვალისწინებს. ჩვენ უკვე გამოვეცით წიგნი რამდენიმე მუნიციპალიტეტის შესახებ. ახლა დედოფლისწყაროზე ვწერთ წიგნს, სადაც იქნება საუბარი მის მრავალფეროვან ლანდშაფტზე და ტურისტულ რესურსზე.

დედოფლისწყარო საქართველოში გამორჩეული მუნიციპალიტეტია. ყველაზე მცირე სოფელი აქვს მუნიციპა-

ლიტეტს, მაგრამ ტერიტორიულად-საკმაოდ დიდია. ასევე, არ არსებობს სხვა მუნიციპალიტეტი, რომელიც თავის თავში მოიცავს სხვა მუნიციპალიტეტის ტერიტორიას-ახმეტის მუნიციპალიტეტს. ასევე აქ არის ნავთობის ქაბურღილები. არის ნახევრად უდაბნოები ისეთი, მსოფლიოს 240 ქვეყანაში ბევრს რომ არ აქვს.

დედოფლისწყარო საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთში მდებარეობს. და ის შავი მთა, რომელზეც ხშირად ვსაუბრობთ, არის ზილიჩას მთა. (სამწუხაროდ, არაქართული ტოპონიმები აქ მრავლად გვხვდება). მზე საქართველოში დედოფლისწყაროდან ამოდის-ეს ფაქტია და ამას ვერავინ უარყოფს. აქ არის ტალახის ვულკანი და კიდევ უამრავი საინტერესო ადგილი.“

ამ ნაშრომების მიზანია, მუნიციპალიტეტების ტურისტული რესურსების (ისტორიული და ბუნებრივი



ღირსშესანიშნაობები) გამოგრაფიული შეფასება. ის ხალს შუაწყობს მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტების ცნობალობის გაზრდას და სხვადასხვა სახის ტურისტული მიმართულების განვითარებას მუნიციპალიტეტებში.

ინგა შიოლაშვილი

# ვირტუალური რეალობის იდეა და პირველი ნაბიჯები

ადამიანისთვის ფანტაზია ფუნდამენტურია. მის გონებას შეუძლია შეთხზას ზღაპრები, წარმოიდგინოს არარსებული ადგილები. თუმცა, დღეს ჩვენ არარსებული ადგილების წარმოება და მასში მოგზაურობაც შეგვიძლია. ეს მეცნიერებისთვის დამახასიათებელი მაგიაა, კონკრეტულ შემთხვევაში ასეთი ინსტრუმენტი კი ვირტუალური რეალობაა.

ვირტუალური რეალობის წარმოშობაზე ხშირად დამოკიდებულია ეს იმიჯი, რომ რთულია ალტერნატიული ეგზისტენციის კონცეფციის ზუსტი განსაზღვრა. რენესანსის ეპოქაში შეიქმნა დამაჯერებელი გამოსახულებები იმ სივრცეებისა, რომლებიც არ არსებობდა. ამ დროს "ხელოვნური სამყაროების გამრავლებები" ეპოქად მოიხსენიებენ. თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ სწორედ აქ გაჩნდა ვირტუალური რეალობა. მეოცე საუკუნის დასაწყისში მცხოვრები მწერალი და სცენარისტი, ანტონინ არტო მიიჩნევდა, რომ ილუზია არ უნდა გამოყარჩოთ რეალობისგან. მისი თქმით, თეატრის სცენის დრამა როგორც რეალობა ისე უნდა აღვიქვათ.

მიუხედავად ამისა, უშუალოდ ვირტუალური რეალობის პირველი რეფერენსები მეოცე საუკუნეში გამოჩნდა. მორტონ ჰეილიგმა, რომელსაც ვირტუალური რეალობის პიონერად მოიხსენიებენ, 1950 წელს დაწერა, რომ ადამიანი შეძლებს ეკრანში "გადავიდეს". ის იყო კინოპროექტორი, რომელიც თავის დროს უსწრებდა. 1962 წელს, მან შექმნა პირველი ვირტუალური სიმულატორი - "სენსორამა", რომელიც ელექტრონული მოწყობილობა იყო. მას ჰქონდა სპეციალური თავის შესაყოფი. სენსორამაში თავის შეყოფის შემდეგ ადამიანებს გამოსახულების ჩაღრმავებულად აღქმა შეეძლოთ. სენსორამა განიხილება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ვირტუალური რეალობის სისტემა.

ჰეილიგმა შეიმუშავა დანადგარიც, რასაც "ტელესფერული ნილაბი" უწოდა. მან ის 1960 წელს დააპატენტა. პატენტის განაცხადში მოწყობილობა აღწერილი იყო, როგორც "ტელესკოპური სატელევიზიო აპარატი, ინდივიდუალური მოხმარებისთვის". ამ დანადგარით მყარდებულ რეალობის სრული შეგრძნება უნდა შეძლებოდა, რაც ნიშნავს მოძრაობის სამგანზომილებიან გამოსახულებებს, ბინარულ ხმას, სუნის შეგრძნებებსა და ნიავს.

1968 წელს ივენ საზერლენდმა, თავისი სტუდენტების დახმარებით შექმნა ის, რაც პირველ თავზე დასამაგრებელ მოწყობილობად ითვლება და ის სიმულაციური პროგრამებისთვის გამოიყენებოდა. მიუხედავად ამისა, ეს პრიმიტიული მოწყობილობა იყო, როგორც მოხმარებლის ინტერფეისით, ასევე ვიზუალური ასპექტით.

1976 წელს დევიდ იემმა შექმნა პირველი 3D ციფრული პერსონაჟი. ამასთან, მანვე შექმნა პირველი ნავიგაციური ვირტუალური სამყარო. ეს იყო ვირტუალური ტური, რომლის დროსაც მოხმარებლებს ქალაქ ასპანის ქუჩებში მოძრაობა შეეძლოთ.

ოთხმოცდაათიანებში კომპიუტერული თამაშების ინდუსტრია აქტიურად დაინტერესდა ვირტუალური ტექნოლოგიების შესაძლებლობებით. 1994 წელს Sega-მ გა-

მოუშვა Sega VR-1. 2010 წელს პალმერ ლაკიმ გამოიგონა ოკულუსი და შექმნა კომპანია OCULUS VR 23. 2014 წელს ფეისბუქმა შეისყიდა Oculus VR, რომელიც იმ დროს 2 მილიარდ დოლარად ფასობდა.

### რა სწავა დღეს?

სულ რამდენიმე წელიწადში ჰეილიგის ტონიანი დანადგარი ადამიანის თავზე დასამაგრებელ ჩაფხუტად და სათვალედ მოგვევლინა. დღეს ვირტუალური რეალობის ოთხი ძირითადი ტიპის სათვალეს ვხვდებით. ესენია: Samsung Gear VR, Okulus VR, HTC vive VR და Sony PlatStation VR.

ვირტუალური რეალობა უკვე ძალიან ბევრ სფეროში ინტეგრირდა. ის გამოიყენება როგორც კომპიუტერულ თამაშებში, ასევე მედიცინაში, განათლებაში, სამხედრო სფეროში, ტურიზმში, სამეცნიერო კვლევებსა თუ ბიზნესში.

მოდით დავიხსოვოთ ზოგადი დეფინიციით, ვირტუალური რეალობა არის ნაწილი გაფართოებული რეალობისა. XR არის აბრევიატურა, რომელიც მოიცავს მთელ ამ სფეროს. ის მოიცავს როგორც ვირტუალურ რეალობას, ისე დამატებით და შერეულ რეალობებს. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ მათ შორის განსხვავება. ვირტუალური რეალობა შეგვიძლია აღვიქვათ, როგორც რეალური სამყაროს ჩანაცვლება, სადაც მთლიანად ვირტუალურ რეალობაში გადადიხარ. რაც შეეხება დამატებით და შერეულ რეალობებს, ის განსხვავებულია ვირტუალურისგან. იქ რეალურ გარემოს ემატება გარკვეული გრაფიკული და ვირტუალური ელემენტები, რომლებიც ურთიერთქმედებენ ან არ ურთიერთქმედებენ რეალურ გარემოსთან.

არსებობს ასეთი გამოწვევა, "სურათი ათას სიტყვას ჯობია". ვირტუალური რეალობა სწორედ ამაზე დგას, ის ინფორმაციას განცდების დონეზე გვანდის. ასე შეგიძლია ნახო ატომი და მისი ელექტრონები. მსგავსი ინფორმაცია ბევრად უფრო ადვილად აღსაქმელია და ადამიანს უფრო მარტივად ამასხოვრდება.

### კორონავირუსი და ვირტუალური რეალობა

როდესაც ვსაუბრობთ რეალობებზე, პანდემიას გვერდს ვერ ავუვლით. კორონავირუსის პანდემიამ ჩვენი რეალობა მნიშვნელოვნად გარდაქმნა, ეს დისტოპიურ სამყაროს ჰგავს. გართულდა ახლობლების მონახულება, ნვეულებზე სიარული, მოგზაურობა და რაც ყველაზე შემამფოთებელია, ადამიანები კარგავენ სამუშაო ადგილებს. ჯერ მარტო ტურიზმის სფეროში 41 მილიონ სამუშაო ადგილს შეექმნა საფრთხე.

ამ მოცემულობამ ვირტუალური რეალობის ტექნოლოგიების საჭიროება კიდევ უფრო დაგვანახა. VR ტექნოლოგიების გამოყენებით ადამიანების გარკვეული ნაწილი სოციალიზაციას ახერხებს და სამუშაო ადგილებსაც ინარჩუნებს. მაგალითისთვის, ნვეულებების ორგანიზაციები აორგანიზებენ VR დაბადების დღეებს, კონცერტებსა და სხვადასხვა შეხვედრებს. საინტერესოა რეპერ trevis scott-ის ქმედება,

რომელმაც თამამ Fortnite-ში ლაივ კონცერტი გამართა.

გახშირდა ვირტუალური ტურიზმიც. ვირტუალურად შეგიძლიათ დაათვალიეროთ, როგორც კონკრეტული ტურისტული ადგილები, ასევე მუზეუმები და არიან ადამიანები, რომლებიც ვირტუალურ შეხვედრებს გეგმავენ.

### ვირტუალური რეალობა ბიზნესში

2014 წელს Oculus-ის დამფუძნებელმა პალმერ ლაკიმ ინიანსარმეტყველა, რომ ვირტუალური რეალობა "შეცვლიდა სამყაროს" და ბაზარს მთლიანად დაიკავებდა. თუმცა, მას შემდეგ იყო იმედგაცრუებები, მაგალითად Magic leap ჯერ კიდევ 2019 წელს 6,4 მილიარდი დოლარად იყო შეფასებული, 2020 წლისთვის კი მისი ფასი 450 მილიონი დოლარია.

21-ე საუკუნის დასაწყისში VR ტექნოლოგიებში ძალიან დიდი ფული ჩაიდო. იყო პროგნოზები, რომ ათ-ოც წელიწადში ვირტუალური რეალობებზე იქნებოდა დამოკიდებული ყველა და ყველაფერი. თუმცა, პროგნოზები ბოლომდე არ გამართლდა. ტექნოლოგია განვითარდა და წინ წავიდა, მაგრამ რეალობა ბოლომდე ნამდვილად არ ჩაუნაცვლებია. ინვესტიციების შედეგად შეიქმნა კარგი პროდუქტი, მაგრამ ეს არ იყო ის შედეგი, რასაც ყველა ელოდა.

### ვირტუალური რეალობა საპარტიკლოში

საინტერესოა რა მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში. საქართველოში ვირტუალური რეალობის ტექნოლოგია შეგიძლიათ გამოიყენოთ როგორც გასართობად, ისე განათლებისთვის.

2018 წელს საქართველოში საგანმანათლებლო მიმართულებით პირველი ვირტუალური რეალობის ლაბორატორია - VRLab Iliuni შეიქმნა. ლაბორატორიის მიზანია VR ტექნოლოგიების სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოყენება. ეს შეიძლება იყოს ვირტუალურად პროექტირება, დიზაინი, სწავლების ვიზუალიზაცია და სხვა.

VR ტექნოლოგიების გამოყენებით საქართველოს ტურისტული ადგილების მონახულებაც შეგიძლიათ.

### ვირტუალური რეალობა და უსაფრთხოება

ვირტუალური რეალობა ჩვენს ყოველდღიურობაში სულ უფრო აქტიურად შემოდის. ტექნოლოგია ახალია, ამის ფონზე მნიშვნელოვანია უსაფრთხოების უზრუნველყოფა და რისკების აცილება. საჭიროა ტექნოლოგიების სწორი გამოყენება შეგვიძლოს.

მაგალითად, ვირტუალური რეალობის ჩაფხუტის ხანგრძლივმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს თავბრუსხვევა და თავის ტკივილი. ამასთან, როდესაც ადამიანს ჩაფხუტი უკეთია, შეიძლება უხერხული მოძრაობა გააკეთოს და ნაიქცეს. ეს სიმპტომები უფრო ხშირად გვხვდება ბავშვებში, შესაბამისად, ბევრი იმასაც ამბობს, რომ მსგავსი ტექნოლოგიების გამოყენება



ბავშვებისთვის არ არის სასურველი. ამის ფონზე VR ტექნოლოგიების სპეციალისტები აქტიურად მუშაობენ მოწყობილობების დახვეწაზე, რათა ტექნოლოგია იყოს ბოლომდე უსაფრთხო.

### „შედეგი რეალობის“ პარსაპოზივანი

რა შეიძლება იყოს VR ტექნოლოგიის მომავალი? მივიღებთ სრულიად ახალ რეალობას, რომელიც არსებულ რეალობას ბოლომდე ჩაანაცვლებს? ბევრი მეცნიერი და მოაზროვნე სიმულაციების თეორიებს ეყრდნობა, სადაც ვირტუალური რეალობის ტექნოლოგიები ისეა დახვეწილი, რომ სიმულაციის და რეალობის გარჩევა შეუძლებელია. მეტიც, ბევრს იმისაც სჯერა, რომ ჩვენი რეალობა სიმულაციაა. შეიძლება სიმულაციას სიმულაციის წარმოება შეეძლოს და ეს ყველაფერი მატრიოშკის ეფექტს ჰგავდეს, სადაც სიმულაცია სიმულაციაშია მოქცეული.

ამ ყველაფერს ვერ გამოვრიცხავთ, მაგრამ ვერც დავამტკიცებთ, შესაბამისად, მსგავსი თეორიები ჯერ ისევ სპეკულაციებად რჩება.

თუმცა, ჩვენ ამ სტატიაშიც დავინახეთ, რომ ოცნება და ფანტაზია ყოველთვის შეიძლება ახდეს. როდესაც მეოცე საუკუნეში ადამიანები VR ტექნოლოგიებს წინასწარმეტყველებდნენ, შეიძლებოდა ესეც სპეკულაციებად აღგვექვა.

ფაქტია, VR ტექნოლოგიები სულ უფრო აქტიურად შემოდის ჩვენს ყოველდღიურობაში. ამის საჭიროება პანდემიამ კიდევ უფრო დაგვანახა. ერთ დროს ზურგშექცეული ინვესტორი, ახლა ისევ ბრუნდება და VR ტექნოლოგიები კვლავ აქტიური ხდება. ინვესტორებთან ერთად, სახელმწიფოებიც აქტიურობენ. ჩინეთის ხელისუფლებამ დაისახა გეგმა, რის მიხედვითაც 2025 წლისთვის ჩინეთი VR ტექნოლოგიების ერთ-ერთი მთავარი მწარმოებელი უნდა იყოს.

რთულია გადაჭრით ვთქვათ, რა იქნება "შედეგი რეალობა", მაგრამ ერთი რაც ზუსტად ვიპოვეთაა ვიცოდეთ, რა-ა-ლოგა აუცილებლად შეიცვლება და თუ რამდენად დადებითად გამოვიყენებთ ამას, ეს მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული.

მომზადდა ხათუნა ბენაშვილმა

## საქართველოში ჩინური ვაქცინის 100 ათასი დოზა შემოღის



საქართველოში 3 აპრილს ჩინური ვაქცინის 100 ათასი დოზა შემოვა.

100 ათასი დოზა „სინოფარმი“ ქვეყანამ შეიძინა. კიდევ ერთი ჩინური მწარმოებლის „სინოვაკის“ 100 ათასი დოზა, რომელიც ჩინეთმა საქართველოს აჩუქა, აპრილის ბოლოს იქნება ქვეყანაში. ამირან ბამბრელიძის ინფორმაციით, ჩინური ვაქცინით მსოფლიოში 80 მილიონ ადამიანზე მეტია აცრილი და ის აღიარებულია რამდენიმე ქვეყნის მარეგულირებლის მიერ. როდის

დაიწყება „სინოფარმი“ და „სინოვაკი“ აცრა, ამაზე საკოორდინაციო და იმუ-

### ს ს მ ა

#### ნინო ბურჯაყური



ძვირფასო დედა, შენი გარდაცვალებიდან ექვსი ცრემლიანი გაზაფხული გავიდა, ბუნება იღვიძებს. ხეს კვირტი გამოსვლია, ფრინველთა ჭიკჭიკი არემარეს აყრუებს. როგორ ნატრობდი გაზაფხული მოვას, სიხარულით ელოდი, დედიკო, მაგრამ ბუნებამ რატომ ინება შენი ნასვლა. 7 აპრილს, ხარება დღე თენდებოდა, შენ სულს ებრძოდი, სიცოცხლე გინდოდა...

აღდგომის დღესასწაული ახლოვდებოდა, ყოველთვის მარხვას ინახავდი. მოკრძალებით ნათქვამი შენი სიტყვები ახლაც მახსოვს: „მე რომ ახლა მარხვას ვერ ვინახავო“- სინანულით და ნატვრით გამოხატე. ყველა რელიგიურ დღესასწაულს სიხარულით ხვდებოდი. 7 აპრილი ჩვენი ოჯახისთვის კომპარად იქცა. რატომ დამტოვე ცრემლით და ტკივილით, დედიკო, მინდა მოგვეწერო, სურათს რომ ვუყურებ ცრემლით ვივსები, მონატრება რა ძნელი ყოფილა.

გაზაფხულია, მაგრამ ჩემს გულში ისევ ზამთარია და ცივა. მოვალ შენს საფლავზე, ცრემლით დავნამავ, ყვავილებს დავფენ, სანთელს ავანთებ, უფალს ვთხოვ, გზა გაგინათოს მარადიულ სასუფეველში, სადაც მართალნი განისვენებენ.

შენი შვილი ლუიზა

# საჭადრაკო მიღწევები პანდემიის კვალდაკვალ...

27-28 მარტს ქ. გურჯაანში ჩატარდა საჭადრაკო 12-18 წლამდე ასაკის ვაჟების და გოგონათა რეგიონალური ტურნირი. ჩვენდა სასიხარულოდ დედოფლისწყაროს საჭადრაკო კლუბის ორმა წევრმა - ილია ტოკლიძევილი და ნანა აბულაძე ვერცხლის მედლები დაიმსახურეს.

ტურნირი საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა. იგი ჩატარდა შვეიცარიული სისტემით 7 ტურად. მიუხედავად იმისა, რომ ერთი პარტიის სათამაშოდ მონაწილეს მოსაფიქრებელი დრო განესაზღვრათ 15 წუთით, ბავშვებმა მაღალ დონეზე ჩატარეს თითოეული ტური და ბევრი საინტერესო პარტია შემოგვთავაზეს. ასევე უნდა აღინიშნოს ტურნირის შემადგენლობის წარმომადგენლობითობა. ამ შეჯიბრში მონაწილეობას იღებდა საქართველოს ორგზის ჩემპიონი (10 და 13 წლამდე ასაკში) დათა ყალაბეგაშვილი (გურჯაანი). საქართველოს II და III ადგილის პრიზიორები, მსოფლიოს და

ევროპის ჩემპიონატის მონაწილეები - თამაზ თუშიშვილი (თელავი), ანდრია არუთინოვი (თელავი), დევი ლიშარაძე (ლაგოდეხი), ნინო ესაიანი (საგარეჯო) დასხვები.

ასეთ შემადგელობაში, ალბათ დამეთანხმებით, ვერცხლის მედლების მოპოვება ნამდვილად არის კარგი შედეგი. ცალკე უნდა აღინიშნოს ილიას განსაკუთრებულად კარგი თამაში. მან 7 შესაძლებლობიდან 6 ქულა დააგროვა. 6 ქულა ჰქონდა ვაჟთა ტურნირის ჩემპიონს თამაზ თუშიშვილს და ილიასთან შედარებით მაღალი კოეფიციენტის გამო დაეუფლა პირველ ადგილს. ილიამ ტურნირში დაამარცხა ყველა სხვა ლიდერი (დათა ყალაბეგაშვილი, ანდრია არუთინოვი). ასევე უნდა აღვნიშნოთ ნანა აბულაძის კარგი თამაში. ცნობისათვის, ამ ბავშვს 3 წელია სერიოზული საჭადრაკო არ უთამაშია. სულ რაღაც 3 კვირის წინ დაბრუნდა ქ. თბილისიდან და გამოთქვა სურვილი საჭადრაკო მეცადინეობის გა-

გრძელებისა. მიუხედავად ამისა, ბუნებრივად დაჯილდოებრივმა ნიჭმა თავისი სიტყვა თქვა, უკომპრომისო ბრძოლაში 7 შესაძლებლობიდან 5 ქულა დააგროვა და ვერცხლის მედალს დაეუფლა ტურნირში. დედოფლისწყაროდან კიდევ ორი ბავშვი - დემეტრე ფიროსმანაშვილი და ოთარ ელოშვილი იღებდნენ მონაწილეობას და მათ სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს ტურნირის ლიდერებს.

დასანანი, რომ ტურნირში ვერ იასპარეზა გიორგი გველუკაშვილმა, რომლის მონაწილეობა ნამდვილად უფრო საინტერესოს გახდებოდა ტურნირს და დარწმუნებული ვარ, წარმატებასაც მიაღწევდა. ბოლოს მინდა, დედოფლისწყაროს საჭადრაკოს მოყვარულებს, გონივრული თამაშების მხარდამჭერებს, ჩვენი მუნიციპალიტეტის მესვეურებს, პედაგოგს - გიგა ყოჩიაშვილს კიდევ ერთხელ მივულოცო ჩვენი მოჭადრაკეების წარმატება. ბავშვებს ვუსურვებთ მომავალი ცხოვრების გზაზე მუდამ გონიერებით ევლოთ,



რაშიც საჭადრაკისეული სიბრძნე უცილობლად დაეხმარებათ.

გიორგი (გომი) კიკილაშვილი დედოფლისწყაროს საჭადრაკო კლუბის ხელმძღვანელი

## ახალგაზრდები სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის

გაზეთ „შირაქის“ რედაქციას, გასულ კვირას, ერთი ახალგაზრდა ეწვია. ვიზიტის მიზეზი მისივე თანატოლების მიერ წამოწყებული სასარგებლო საქმე აღმოჩნდა. სტატიის ავტორმა საკუთარი ვინაობის ფართო საზოგადოებისთვის გახსენა არ ისურვა, ამიტომ სტატიას ფსევდონიმით ვთავაზობთ:



საქართველოს ეკონომიკის მთავარი დარგი სოფლის მეურნეობაა, საუკუნეების მანძილზე ჩვენი წინაპრები ამუშავებდნენ და ანოყიერებდნენ მიწას, გამოჰყავდათ ახალი კულტურული ჯიშები. ღვინო და პური ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო და არის დღესაც, ამასთანავე ჩვენი მოყვანილი ყურძენი და ხორბალი ქვეყნის გარეთაც ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამიტომაც, მნიშვნელოვანია შევინარჩუნოთ და მოვუფროთ ხილდეთ წინაპრების მიერ გამოყვანილ ამ კულტურულ ჯიშებს, მაგრამ აუცილებელია გამოვიყვანოთ ახალიც.

ცოტახნის წინ ახალგაზრდა ბიჭების მიერ წამოწყებული საქმის - მიწის დამუშავების შესახებ შევიტყვე, რომლებმაც წინაპრების საქმის გაგრძელება

გადანწყვიტეს. ილია ჯინაშვილი, ლუკა მთარაშვილი, ილია შიტიშვილი და გიორგი ლოლაშვილი - ეს ის ბიჭები არიან, რომლებმაც გადანწყვიტეს ერთმანეთის დახმარებით იშვიათი კულტურები მოეყვანათ და მოეხდინათ მათი რეალიზაცია. მე გავესაუბრე ერთ-ერთ მათგანს რათა უფრო მეტი შემეტყო მათ საქმიანობაზე.

გიორგი ლოლაშვილი: „ეს ამბავი დანისყო დახლოებით ერთი თვის წინ. მე და ჩემი მეგობრები ვიყავით ერთად და მამაჩემმა რომ შეგვაცყო რომ ასე ვთქვათ უსაქმურად „დავანაწლებდით“, იდეა მოგვანოდა, რომ დაგვეწყო მიწის დამუშავება, მოგვეყვანა იშვიათი კულტურები, როგორცაა მაგალითად: მუხუღი, ცულისპირა და ქართული ჯიშის სიმინდი „კაჟა“. მალევე მოვიყვანეთ ეს იდეა სრულყოფილებაში და შევუდექით მუშაობას. ამჟამად მიმდინარეობს მიწის დამუშავება და მომზადდება დასათესად. რაც მთავრია, ეს ყველაფერი იქნება ბიოლოგიურად სუფთა. ვფიქრობთ, რომ წლებიდანელი მოსავლის ნაწილს გაუუკეთოთ რეალიზაცია, ნაწილი კი შევინახოთ სათესლე მასალად. შორეული მომავლის გეგმა გვაქვს, რომ შემოდგომაზე დავეთესოთ სხვა მარცვლოვანი კულტურები და გავინჩინოთ ჩვენივე საქონელი, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი დიდ ხარჯებთაა დაკავშირებული. ამიტომ ვერთვებით ფერმერთა დახმარების პროგრამებში. იმედია, გამოგვივა და შევძლებთ ამ გეგმების განხორციელებას, ჩვენი საქმიანობით საქართველოს სხვა ქვეყნის ბაზრებზე მეტ პოპულარიზაციას და ჩვენი ქვეყნის მდიდარი კულტურის უკეთ წარმოჩენას.“

ნატალია Ersა

## სპორტი გუნდ „ჩემპიონს“ 29 წელი შეუსრულდა



დედოფლისწყაროს კიკ ბოქსინგის გუნდ „ჩემპიონს“ დაარსებიდან 29 წელი შეუსრულდა.

საიუბილეო საღამო სპორტული კლუბის წევრებმა და თავჯანსმცემლებმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრში გამართეს. ღონისძიებას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანაშვილი ცენტრის ხელმძღვანელთან, აპაპი ნატროშვილთან ერთად დაესწრო. ნიკოლოზ ჯანაშვილის განცხადებით, „ჩემპიონი“ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის რევოლუციური ზუსტად ერთი წლის თავზე, 1992 წლის 31 მარტს დაარსდა და დამოუკიდებელ საქართველოს არაერთი საერთაშორისო აღიარება მოუტანა. „ჩვენი კიკ ბოქსინგის გუნდი როგორც დედოფლისწყაროს, ასევე მთელი ქვეყნის ისტორიის განუყოფელი ნაწილია. 29 წლის განმავლობაში „ჩემპიონმა“ არაერთი მსოფლიო ჩემპიონი და ტიტულოვანი სპორტსმენი აღზარდა. მადლობა თითოეულ კიკ ბოქსინგელს და პირადად მამაზ ჰარაბაშვილს თავდაუზოგავი შრომისა და იმ სიხარულისათვის, რომელიც კლუბს ამ წლების განმავლობაში მოუნიჭებია. დარწმუნებული ვარ, წინ კიდევ ბევრი წარმატება და სიხარული გველოდება“-აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა.

### მადლიერება!

რამდენიმე წლის წინ, სამსახურში ყოფნისას თავი შეუძლოდ ვიგრძენი. ნავედი პოლიკლინიკაში, გადავიღე კარდიოგრამა და დადგინდა, რომ მქონდა მოციმციმე არითმია. სასწრაფოდ ნავედი თბილისში. ჩემმა შეიღმა მიმიყვანა კარდიოლოგ ზურაბ კლიმიაშვილთან, რომელმაც ამილო ანალიზები და მომცა დანიშნულება.

შემდეგ მიჩვიე, მივსულიყავი არითმოლოგ გიორგი პაპიაშვილთან, რომელმაც ნახა ჩემი დანიშნულება და მითხრა: „ქალბატონო, თქვენ იმისთანა კარგ ექიმთან ყოფილხართ, რომ მის დანიშნულებას ვერც ვერაფერს გამოვაკლებ და ვერც დავამატებო“. მის მერე ვმკურნალობ ბატონ ზურაბ კლიმიაშვილთან. იგი არის „კარდიონეტი პინოს“ დამფუძნებელი, თვითონ ხელმძღვანელობს განყოფილებას, ჰყავს ახალგაზრდა პერსონალი, რომლებიც გულისყურით ეკიდებიან თითოეული ავადმყოფის ჯანმრთელობას. პოლიკლინიკაში აგრეთვე არის სტაციონარი და სამეურადი კვება. მე არაერთჯერ ვისარგებლე როგორც კლინიკური, ასევე სტაციონალური მომსახურებით და ძალიან კმაყოფილი ვარ. დღესაც მათი მეთვალყურეობის ქვეშ ვაგრძელებ მკურნალობას და მათი იმედით ვცოცხლობ.

ბატონო, ზურა! დიდი მადლობა ჩემზე ასეთი ზრუნვისთვის. იყავით ჯანმრთელი და ბედნიერი. სიყვარული, სიხარული, ბედნიერება და სამსახურებრივი წარმატება იყოს თქვენი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი.

პატივისცემით, ნანი მოსაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, ქ. დედოფლისწყარო.

## ულოცავინ!

**იაგო ყოჩიაშვილს! ამირან მისტაურს!**

ჩვენი მუნიციპალიტეტის თვალსაჩინო წარმომადგენლებს, საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა ნომინაციაში გამოვლენილ უმაღლესი რანგის პროფესიონალებს! ბატონო იაგო, ბატონო ამირან! გილოცავთ დაბადების დღეს საუკეთესო სურვილებით.

საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოება „ამადარის“ თავმჯდომარე ვახუშტი ძინიჭყრაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მნიგნობართა ასოციაციის თავმჯდომარე ვანო ნატროშვილი

**დაიანოზ ნიკოლოზ ლომსაქას!**

ძვირფასო მამა ნიკოლოზ, გილოცავთ დაბადების დღეს! გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას თქვენს დედას და საყვარელ ოჯახთან ერთად. თქვენ არა მარტო თქვენი ოჯახის იმედი და საყრდენი ხართ, არამედ მთელი მრევლისა და მათ შორის ჩვენიც.

დიდია თქვენი წვლილი ჩვენი ხალხის სულიერ გაძლიერებაში, მით უმეტეს დღეს, ამ პანდემიის ფონზე გაჭირვების ფაზს. თქვენი იმედი არ მოგვიშალოს უფალმა. პატივისცემით და გულწრფელი სიყვარულით, ლალი გოჭორიშვილი, ჯიმი, გიბ, ლია ალულიშვილები ოჯახებით

ამინდი		დედოფლისწყარო		კვირა	
ორშაბათი 05.04	სამშაბათი 06.04	ოთხშაბათი 07.04	ხუთშაბათი 08.04	პარასკევი 09.04	შაბათი 10.04
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
19°	7°	22°	8°	22°	9°
23°	9°	22°	9°	17°	6°
16°	7°				

გამომცემელი შპს „შირაქი“  
დირექტორი ინგა შიოლაშვილი  
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი  
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ჭანაშვილი (ჟურნალისტი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზინა ქანჭაძე (დისტრიბუტორი);  
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 22-87; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.